საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე

GCSD

საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაციათანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე

ავტორი: ერეკლე შუბითიძე

თბილისი, 2021

ავტორის შესახებ:

ერეკლე შუბითიძე - საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტი. მიღებული აქვს მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯიდან (University College London). საკვლევი თემა - კომუნიკაციის როლი სამოქალაქო არეულობებში. ასევე, ფლობს ბაკალავრის ხარისხს ვიტენბერგის უნივერსიტეტიდან (აშშ) პოლიტიკურ მეცნიერებასა და რუსეთისა და ცენტრალური ევრაზიის კვლევების მიმართულებით. აქვს 5 წლიანი გამოცდილება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მუშაობის, მათ შორის სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით. მის კვლევით ინტერესებს წარმოადგენს: სტრატეგიული კომუნიკაციები, ჰიბრიდული ომი, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფლიქტები.

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებში. კვლევაზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და შინაარსი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც აშშ-ის საელჩოს ან საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიცია და მოსაზრება.

Funded through the Alumni Grants Program, U.S. Embassy in Georgia. The content of this document is the sole responsibility of the author and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the U.S. Embassy in Georgia or Georgian Center for Strategy and Development.

სარჩევი

აბსტრაქტი 1

1. შესავალი 2

2. ლიტერატურის მიმოხილვა 4

3. საინფორმაციო ომის ელემენტები 9

3.1. სტრატეგიული მიზნები 9

3.2. საკომუნიკაციო არხები 10

3.3. შეტევის მეთოდები 12

4. საინფორმაციო ოპერაციების მაგალითები 17

4.1. ოპერაცია „ინფექცია“ 17

4.2. ოპერაცია კოვიდ-19 19

5. დასკვნა 21

ბიბლიოგრაფია 23

აბსტრაქტი

დღესდღეობით მილიარდობით ადამიანი ინტერნეტისა და სოციალური მედიის მეშვეობითაა დაკავშირებული, რაც თითოეულ ჩვენთაგანს საშუალებას აძლევს მიიღოს იმაზე მეტი ინფორმაცია ვიდრე ოდესმე. გარემო, სადაც ნებისმიერს საშუალება აქვს საკუთარი სიმართლე გაავრცელოს, ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს იმ სახელმწიფოებისა და ჯგუფებისათვის, რომლებიც მზად არიან ინფორმაცია საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენონ. საინფორმაციო ომი, „ფეიკ ნიუსები“, დეზინფორმაცია, ეს ის ტერმინებია, რომლებმაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ადგილი დაიმკვიდრა. ექსპერტები და ანალიტიკოსები აქტიურად მუშაობენ საინფორმაციო ომის გამოწვევებთან გასამკლავებლად, თუმცა მნიშვნელოვანია ამ პროცესში გავითვალისწინოთ არამარტო ამჟამინდელი გარემოებები, არამედ წარსულიც. ესპანელი ფილოსოფოსის, ჯორჯ სანტაიანას მიხედვით, - „ისინი, ვისაც არ ახსოვს წარსული, განწირულნი არიან მისი გამეორებისთვის“. ზუსტად ამიტომ, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ საინფორმაციო ომის წარსული ისევე, როგორც აწმყო.

დოკუმენტის მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვას: **რა ტიპის ტრანსფორმაცია განიცადა საინფორმაციო ომის მეთოდებმა თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე?** აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია გამოიკვეთოს ზუსტად რას ვგულისხმობთ „საინფორმაციო ომში“. ლიტერატურის მომიხილვის ნაწილი ზუსტად ამას ეთმობა. დოკუმენტის მომდევნო თავებში განხილულია საინფორმაციო ოპერაციების წარმოების მეთოდოლოგია და მაგალითები ცივი ომის პერიოდში, რომლებიც შედარებულია საინფორმაციო ომის თანამედროვე მეთოდებსა და მაგალითებთან. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში კი, ანალიზის სახით, გთავაზობთ შემაჯამებელ მიგნებებს.

შესავალი

საინფორმაციო ეპოქაში, სოციალური მედია და ტელევიზია 24 საათიან საინფორმაციო გარემოს ქმნიან, სადაც ადამიანისთვის იმაზე მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ვიდრე ოდესმე. ამავდროულად, თითოეული ჩვენთაგანი განურჩველად განათლებისა, სოციალური სტატუსისა თუ შეხედულებებისა, ჩართულია ამ 24 საათიან საინფორმაციო გარემოში ინფორმაციის გამცემად და მიმღებად. დღესდღეობით ყველას, ვისაც ინტერნეტთან მიუწვდება ხელი, ასევე, პოტენციური წვდომა აქვს მილიონობით მსმენელზე, მათ ქცევასა და აზრზე ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტებზე. მაშინ, როდესაც 50 წლის წინ, ეფექტური საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციის ჩატარებისათვის საჭირო იყო ადგილზე თანამოაზრეებისა და გავლენის აგენტების გადასროლა ან გადაბირება, დღეს, სოციალური მედიისა და საინფორმაციო გარემოს ლიბერალიზაციის ფონზე, შესაძლებელია მცირე ჯგუფმა, საკუთარი ოფისიდან გაუსვლელად, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მოსახლეობის ქცევასა და განწყობებზე.

ბოლო დროს განვითარებულმა გლობალურმა მოვლენებმა, როგორებიცაა აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, Brexit-ი, სირიის სამოქალაქო ომი და ყირიმის ანექსია, პოპულარიზაცია გაუწია საინფორმაციო ზეგავლენის ფენომენსა და ხაზი გაუსვა მის ეფექტურობას. ისეთი გავლენიანი ორგანიზაცია, როგორიც ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების სრულყოფის ცენტრია, საკმაოდ დიდ დროს უთმობს არამარტო რუსული ზეგავლენის ოპერაციების, არამედ დაეშის საინფორმაციო კამპანიების შესწავლასაც (მაგ: ed. Simmons & Sillanpaa 2016, Zgryziewicz 2015). განსაკუთრებული და გლობალური ყურადღება მიიქცია 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომელშიც აშშ-ის დაზვერვის სამსახურებმა საინფორმაციო სივრცეში რუსული გავლენის კვალს მიაგნეს (Kelly & Bowman 2016). 2016 წელს, „პოსტ-სიმართლე“ (Post-Truth) - ფენომენი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში პერსონალური გრძნობები და რწმენები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ობიექტური ფაქტები, ოქსფორდის ლექსიკონის წლის სიტყვაც კი გახდა (BBC news, 2016).

საქართველოსა და მსოფლიოში, უკვე რამდენიმე წელია, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, რუსული რბილი ძალა, „ფეიკ ნიუსები”, პოსტ-სიმართლე (Post-Truth), ჰიბრიდული ომი, ფსიქოლოგიური ოპერაციები და საინფორმაციო ომი აქტიური განხილვის თემაა. ეს არის იმ ტერმინების არასრული ჩამონათვალი, რომელებიც საინფორმაციო სივრცეში ადამიანის ქცევასა და განწყობებზე ზეგავლენის მოხდენის ფენომენის აღწერისთვის გამოიყენება. თუმცა, სხვადასხვა წრეში ეს ტერმინები, და არამარტო, ხშირად სინონიმებად მიიჩნევა. ამავდროულად, ამ ფენომენის საერთაშორისო უსაფრთხოების პრაქტიკაში სიახლესა და ეფექტურობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს , ისევე როგორც მის ავტორებსა და ფუძემდებლებზე. სამეცნიერო ლიტერატურის კვლევა, რომელსაც მომდევნო თავში განვიხილავთ, ნათელს ხდის, რომ რასაც ჩვენ და აღმოსავლეთ ევროპა საინფორმაციო ომს ან საინფორმაციო ოპერაციებს ვუწოდებთ, სრულიად სხვა კონტექსტში აღიქმება დასავლელი ექსპერტების მიერ.

ზემოთ აღნიშნული უთანხმოებების მიუხედავად, ნათელია, რომ სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის საინფორმაციო მეთოდების ინტეგრაცია თავდაცვისა და უსაფრთხოების არქიტექტურაში სრულიად ლოგიკური და გარდაუვალი იყო. საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზეგავლენის მეთოდები მრავალი წელია ინტეგრირებულია სამხედრო დისციპლინებად და სამხედრო ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. თუმცა, თანამედროვე საინფორმაციო გარემოს ანალიზი ცხადყოფს, რომ საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენამ არა კამპანიური, არამედ პერმანენტული ხასიათი მიიღო. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე

ციტირებადი და სამწუხაროდ გადაქარბებულად შეფასებული ნაშრომი ვალერი გერასიმოვს ეკუთვნის, რომელსაც ასევე მცდარად „გერასიმოვის დოქტრინად“ მოიხსენებენ (გალეოტი 2018). ზოგ წრეებში (მაგ: Mckew 2017) გავრცელებულია აზრი, რომ თითქოს გერასიმოვი ჰიბრიდული ან/და ასიმეტრიული ომის მეთოდების ავტორია, რომლებიც რუსეთმა 2014 წელს ყირიმის ანექსიის დროს გამოიყენა და საინფორმაციო განზომილების ინოვაციური ინტეგრაცია მოახდინა კონვენციური ბრძოლის მეთოდებში. სინამდვილეში, მისი ნაშრომი პროპაგანდისტული ხასიათის მატარებელია და მასში რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი თითქოსდა ნატო-სა და აშშ-ის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში გადატრიალების მოწყობის მეთოდებს აღწერს (გერასიმოვი 2013). თუმცა მისი ანალიზი შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ფსიქოლოგიური პროექცია, რადგან იგი ანარეკლია იმ მეთოდებისა, რომლებსაც რუსეთი 70-იან წლებში საერთაშორისო კომუნისტური რევოლუციისთვის იყენებდა.

საინფორმაციო შესაძლებლობები თანამედროვე საერთაშორისო და ლოკალურ კონფლიქტზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. დემოკრატიული სისტემა, მოქალაქეების მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გადაწყვეტილების მიღების უნარსა და უმრავლესობის ნებას ეყრდნობა. იმ შემთხვევაში, თუ არაკეთილმოსურნემ შეაღწია დემოკრატიული ქვეყნის საინფორმაციო გარემოში და თავი ლეგიტიმურად დაიმკვიდრა, ეს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სისტემის გამართულობასა და სტაბილურობას. ამ დროს ბოროტმოქმედები იყენებენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, რომლის გარანტიც დემოკრატიაა და მისი მეშვეობით ძირს უთხრიან სისტემას. შეიძლება ითქვას, ისინი იყენებენ დემოკრატიას დემოკრატიის წინააღმდეგ.

ამავდროულად, ავტოკრატიული მთავრობები საკუთარი ძალაუფლების სტაბილურობასა და ინფორმაციის მონოპოლიაზე არიან დაშენებული და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მაგალითად რუსეთის ფედერაცია (HRW 2020) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (HRW 2011) ინტერნეტის ცენზურასა და საკუთარი მოსახლეობის საინფორმაციო იზოლაციაზე არიან მიმართული. ამ მხრივ, ნათელია, რომ საინფორმაციო ზეგავლენა, იქნება ეს საერთაშორისო თუ ლოკალური, ნებისმიერ სისტემას მოწყვლადს ხდის და საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევად გვევლინება.

კვლევის მიზანია, პასუხი გასცეს კითხვას - რა ტიპის ტრანსფორმაცია განიცადა საინფორმაციო ომის მეთოდებმა თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე? ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, ჯერ ტერმინოლოგიაზე შევჯერდეთ - რას ნიშნავს საინფორმაციო ომი? ვინაიდან ლიტერატურაში საინფორმაციო ომის სხვადასხვა განსაზღვრება და შესაბამისად, მისი წარმოების მრავალი მეთოდოლოგია არსებობს, ეფექტური შედარებისათვის მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური სიზუსტე.

დოკუმენტის პირველ თავში წარმოდგენილია საინფორმაციო ომის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა. შემდგომ, ნაწილებში განხილული და შედარებულია საინფორმაციო ოპერაციების წარმოების მეთოდოლოგია, საკომუნიკაციო არხები და შესაბამისი მაგალითები ცივი ომის პერიოდში და დღეს. აღსანიშნავია, რომ ტელევიზიას იმ განსაკუთრებული როლისათვის, რომელიც მას საინფორმაციო გარემოს ფორმირებაში ათწლეულობის განმავლობაში აქვს, იმსახურებს ცალკე კვლევას. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტი არ მიმოიხილავს ტელევიზიის, როგორც საკომუნიკაციო არხის განვითარების პროცესს. დოკუმენტის ბოლოს კი წარმოდგენილია შემაჯამებელი ანალიზი.

ლიტერატურის მიმოხილვა

მრავალი მეცნიერი, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის პროცესში ინფორმაციული ზეგავლენის მნიშვნელობაზე წერს, თითქმის ყოველთვის პირველწყაროდ უთითებს სუნ ძის და მის „ომის ხელოვნება“-ს. მის მიხედვით საუკეთესო სტრატეგია მოწინააღმდეგის ბრძოლის გარეშე დამარცხებაა (მაგ: Waltz 1998, Scanzillo and Lopaciensk 2015, Szafranski 1995, Ventre 2011). აღნიშნული, პირდაპირ კავშირშია საერთაშორისო მოთამაშეების მსოფლმხედველობასთან. თუ სუბიექტი კონფლიქტს აღიქვამს, როგორც ეპიზოდურ მოვლენას, მაშინ ამ სუბიექტის აზრით, სუნ ძის სიტყვები ხაზს უსვამს სამხედრო სტრუქტურებში საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების ინტეგრაციის მნიშვნელობას. თუ სუბიექტი კონფლიქტს აღიქვამს ყოველდღიურ, მუდმივ მოვლენად, მაშინ ბუნებრივია საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენა მათთვის ინტეგრირებულია არამარტო სამხედრო, არამედ ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ სტრუქტურებში. ზუსტად ასეთ სხვაობებს ვაწყდებით სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზოგი მეცნიერი, რომელიც საინფორმაციო ომზე ან საინფორმაციო ოპერაციებზე საუბრობს, ხშირ შემთხვევაში, კიბერ სივრცეში მიმდინარე აქტივობებს გულისხმობს. ისეთებს, როგორებიცაა სისტემების გატეხვა, კიბერ თავდასხმა და ა.შ. (მაგ: Stein 1996, Hamilton et. al 2002, Burke 1999, Henry & Peartree 1998). სხვები მიუთითებენ საინფორმაციო ომის ორმაგ ბუნებაზე და აღწერენ მას, როგორც ყოვლისმომცველ ტერმინს, რომელიც თავის თავში სხვადასხვა მანიპულაციურ აქტივობას და კიბერ ბრძოლას მოიცავს (მაგ: Waltz 1998, Libicki 1995, Ventre, 2011, 2016). ამ დოკუმენტში განხილული საინფორმაციო ომის ლიტერატურა შესაძლებელია 3 კატეგორიად დავაჯგუფოთ. პირველი კატეგორია ეს არის ნაშრომები, რომლებიც საინფორმაციო ომს ხედავენ, როგორც სამხედრო აქტივობას კიბერ სივრცეში. მეორე ჯგუფი საინფორმაციო ომს აღიქვამს, როგორც სამხედრო აქტივობას, რომელიც სხვადასხვა არასასიკვდილო ხერხით მოწინააღმდეგის მოსახლეობასა და სამხედრო ძალებზე ზეგავლენის მოხდენას ემსახურება. მესამე ჯგუფი კი, ომისა და მშვიდობის პერიოდში, მიზანში იღებს მოწინააღმდეგის მოსახლეობას, სამხედრო ძალებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამ დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, პირველი კატეგორია, რომელიც კიბერ შესაძლებლობებსა და სისტემურ უსაფრთხოებას ეხება, დისკუსიიდან გამოვრიცხავთ და დანარჩენ ორ კატეგორიას საინფორმაციო ომის ორ სკოლად დავყოფთ. პირველი სკოლა არის - დასავლური სკოლა, რომელიც თავის თავში სამხედრო აქტივობებს მოიცავს. ისინი, სხვადასხვა არასასიკვდილო ხერხებით, მოწინააღმდეგის მოსახლეობასა და სამხედრო ძალებზე ახდენენ გავლენას. ხოლო მეორე სკოლა, ეს არის რუსული ან საბჭოთა სკოლა, რომელიც ომისა და მშვიდობის პერიოდში, მოწინააღმდეგის მოსახლეობაზე, სამხედრო ძალებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ზეგავლენის მოხდენას მოიცავს. თავდაპირველად მიმოვიხილავთ დასავლური სკოლის განმარტებებს.

ლიბიკი თავის ნაშრომში *„What is Information Warfare?“* აღნიშნავს, რომ საინფორმაციო ომი 7 ელემენტისგან შედგება: „მართვისა და კონტროლის ომი“, „სადაზვერვო ბრძოლა“, „ელექტრონული ბრძოლა“, „ფსიქოლოგიური ომი“, „ჰაკერული ბრძოლა“, „ეკონომიკური საინფორმაციო ბრძოლა“ და „კიბერბრძოლა“ (Libicki 1995, x). ამ შვიდიდან, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ომია მის ოთხ ძირითად მიზანს ეროვნულ საბრძოლო სულისკვეთებაზე, მოწინააღმდეგის სამეთაურო რგოლის ბრძოლის სულისკვეთებაზე, მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებზე ზემოქმედების მოხდენა და საზოგადოებაზე კულტურული ზეგავლენის დამყარება წარამოდგენს. კულტურული ზეგავლენა ან როგორც ავტორი ნაშრომში მოიხსენიებს - “Kulturkampf”, ძალიან წააგავს ჯოზეფ ნაის „რბილ ძალას“ (Nye 1990). აღსანიშნავია, რომ ავტორი, ამ შემთხვევაში, საინფორმაციო ომს ხედავს როგორც თავდაცვის მეთოდს და არ განაცალკევებს მას სამხედრო საქმიანობისგან (Libicki 1995).

ვენტრი კვლევაში „Cyberwar and Information warfare“ (2011) კი, საწინააღმდეგოს ხედავს და ამბობს, რომ საინფორმაციო ომი ძირითადად შემტევი, პროაქტიული ხასიათისაა. იგი თავის შემდგომ ნამუშევარში - “Information Warfare” (2016), საინფორამციო ომისგან გამოყოფს ფსიქოლოგიურ ომს და მას ადამიანის ქცევასა და განწყობებზე ზეგავლენის მოხდენის ძირითადი ინსტრუმენტის სახელს ანიჭებს. ხოლო საინფორმაციო ომში, იგი მხოლოდ კომპიუტერულ სისტემებსა და კიბერ ოპერაციებს ხედავს.

ნაშრომში - *„Information Operations: Warfare and Hard Reality of Soft Power“* (ed. Armistead 2004) ავტორი ამბობს, რომ საინფორმაციო ოპერაციები არ არის სათანადოდ გაგებული სამეცნიერო ლიტერატურაში და დიდი დრო ეთმობა მის კომპიუტერულ და კიბერ ელემენტებს. ნაშრომში განცალკევება ხდება საინფორმაციო ომისა და ოპერაციების. საინფორმაციო ოპერაციები უფრო ზოგადი გახდა ვიდრე საინფორმაციო ომი. დანიშნულებით, იგი კონფლიქტის და კონფლიქტამდე მიმავალი მშვიდობის პერიოდში საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენის მიზნით გამოიყენება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ავტორი მკვეთრად გამოყოფს, რომ ეს არის სამხედრო შესაძლებლობა,უფრო ზუსტად, მის დანიშნულებას მოწინააღმდეგის სამეთაურო რგოლის გადაწყვეტილების მიღების უნარზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენს (ed. Armistead 2004, 11).

სზეფრანსკი (1995) მიიჩნევს, რომ საინფორმაციო ომი მოწინააღმდეგის ეპისტემოლოგიაზე, ანუ პიროვნების ან ჯგუფის მიერ აღქმულ რეალობასა და ქეშმარიტებებზე, იერიშის მიტანას ისახავს მიზნად (Szefranski 1995, 5). სზეფრანსკის ნაშრომში ჩვენ ვაწყდებით იმ ეთიკურ არგუმენტს, რომელიც სავარაუდოდ საინფორმაციო ომის დასავლური და საბჭოთა სკოლის გასაყარზე მდებარეობს. ავტორი ეთიკურად მიიჩნევს ასეთი მეთოდებით სამხედროებისა და ლიდერების სამიზნე აუდიტორიად აღქმას, რადგან მათ გათვითცნობიერებული აქვთ საფრთხე და ნებაყოფლობით ერთვებიან საბრძოლო მოქმედებებში. თუმცა, იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოსახლეობის სამიზნე აუდიტორიად აღქმას, რადგან საზოგადოება (იგულისხმება დემოკრატიული საზოგადოება) პოლიტიკოსების მეშვეობით შეზღუდვებს შემოიღებს ასეთ ქმედებებზე (Szefranski 1995, 9-10).

დასავლელი ექსპერტებისთვის სზეფრანსკის მიდგომა ლოგიკურია, ვინაიდან სამოქალაქო კონტროლი ძალოვან სტრუქტურებსა და პოლიტიკურ აქტივობაზე გაცილებით უფრო მაღალი დონისაა, ვიდრე ეს ავტორიტარულ საზოგადოებებშია. შესაბამისად, ჩნდება გარკვეული ფორმალური აკრძალვა და ასევე, თვითცენზურა თუ რა ტიპის აქტივობებია დასაშვები მშვიდობის პერიოდში. ასევე, ყურადსაღებია, რომ სამხედრო სტრუქტურები დოქტრინების მიხედვით მოქმედებს. დოქტრინებში, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ღია დოკუმენტებია, იმის ჩაწერა, რომ მშვიდობის პერიოდში პოტენციური მოწინააღმდეგის მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენა მისაღებია, უდავოდ სკანდალს გამოიწვევს. შესაბამისად, შედეგად ვიღებთ ისეთ განსაზღვრებებს, როგორიც მაგალითად საინფორმაციო ომის/ოპერაციების ამერიკის შეერთებული შტატების განსაზღვრებაშია: სამხედრო ოპერაციების დროს, საინფორმაციო და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების ინტეგრირებული გამოყენება ზეგავლენის მოხდენის, ხელის შეშლის ან მოწინააღმდეგის და პოტენციური მოწინააღმდეგეების გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზურპაციისა და საკუთარი ძალების დაცვის პროცესი (JP 3-13). გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალები თვითონ განსაზღვრებაში არ საუბრობენ ფორმალურ შემაკავებელზე, თუმცა შემდგომში ჩაშლილია, რომ საინფორმაციო ოპერაციები იწარმოება ლეგალური შეზღუდვებისა და დადგენილი ძალის გამოყენების წესების (Rules of Engagement) ფარგლებში (JWP 3-80). ნატოს საინფორმაციო ოპერაციების დოქტრინაში კი ხაზგასმით წერია, რომ ეს არის სამხედრო შესაძლებლობა და სამიზნე აუდიტორიად განსაზღვრული იქნება ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს, ანუ ნატოს ბიუროკრატიაში ყველაზე მაღალი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები რგოლის მიერ განსაზღვრული აუდიტორიები (AJP 3.10).

რაც შეეხება საინფორმაციო ომის საბჭოთა სკოლის მკვლევარებს - ორი სახის წყაროებს დავეყრდნობით. პირველი ეს არიან თანამედროვე მკვლევარები, რომლებიც საბჭოთა და რუსულ საინფორმაციო ომს იკვლევენ და მეორე - საბჭოთა კავშირის დისიდენტები, რომლებიც საკუთარ გამოცდილებაზე წერენ. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ომის საბჭოთა მეთოდების მკვლევარები გაცილებით უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ და ხაზს უსვამენ მოსახლეობაზე საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენას, ვიდრე მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებსა და მათ გადაწყვეტილების მიღების უნარზე ზემოქმედებას. ბუნებრივია, ჩვენ ამ ლიტერატურაში არ ვაწყდებით იმ ეთიკურ დილემებსა და დისკუსიებს, რომელიც საინფორმაციო ომის დასავლურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება.

იოლანტა დარსზევსკა (Darczewska 2014) დასავლურ და საბჭოთა ტერმინოლოგიაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საინფორამციო ომის ტერმინოლოგია ორივეგან თითქმის ერთნაირია, მაგრამ ძირითადი განსხვავება ამ ტერმინოლოგიის აღქმაშია. ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგია რასაც საბჭოთა კავშირი და ახლა უკვე რუსეთი იყენებს, დასავლეთიდან არის შემოტანილი. მისი პრაქტიკა და თეორია ძირითადად „სპეცპროპაგანდის თეორიაზე“ არის დაფუძნებული, რომელიც უშიშროების სამსახურების აკადემიური დღის წესრიგის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (Darczewska 2014, 9). დარსზევსკა აღწერს, რომ რუს ავტორებს საინფორმაციო ომი ესმით, როგორც მასებზე ზეგავლენის მოხდენა ცივილიზაციური და იდეოლოგიური სისტემების კონფლიქტის ჭრილში (Darczewska 2014, 12).

ავტორი ამავდროულად მიუთითებს კრემლის იდეოლოგის, ფილოსოფოსის და გეოპოლიტიკოსის, ალექსანდ დუგინის მოსაზრებებზე, რომელიც ფერად რევოლუციებს რუსეთის წინააღმდეგ ხელოვნურად წარმოქმნილს და დასავლეთიდან მართულს უწოდებს. იგი ამ პროცესების აღსაწერად იყენებს ტერმინს „Netwar“. ეს შედარებით უცნობი ტერმინი, რომელიც ასევე საინფორმაციო კონფრონტაციას აღწერს, ჯონ არქუილას და ტომას რონფელდტს აქვთ აღწერილი ნაშრომში „Cyberwar is Coming!“ (1993). ავტორების მიხედვით, Netwar ნიშნავს შეტევას, დაზიანებას და მოდიფიცირებას ცოდნისა ან იმ ინფორმაციისა, რაც სამიზნე აუდიტორიას ჰგონია რომ საკუთარი თავისა და მის გარშემო სამყაროზე აქვს. მათი აზრით, ეს შესაძლებელია შეიცავდეს “სახალხო დიპლომატიის, პროპაგანდის და ფსიქოლოგიური კამპანიების, პოლიტიკური და კულტურული დივერსიის, ადგილობრივი მედიის მოტყუებისა და ჩარევის, კომპიუტერულ სისტემებში შეღწევისა და ოპოზიციების და დისიდენტობის წაქეზებას კომპიუტერულ ქსელში“ (Arquilla & Ronfeldt 1993, 28). ამასთან, ავტორები მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის საინფორმაციო კონფლიქტის მონაწილეები შესაძლებელია იყვნენ ქვეყნები, ისევე, როგორც ორგანიზებული ჯგუფები და არასახელმწიფოებრივი მოთამაშეები (Arquilla & Ronfeldt 1993, 1999 also ed. Arquilla & Boer 2007). დარსზევსკას მიხედვით, ძირითადი განსხვავება დასავლურ საინფორმაციო ომსა და საბჭოთა/რუსულ საინფორმაციო ომს შორის, მისთვის პერმანენტული ხასიათის მინიჭება და ოპონენტების წინააღმდეგ მუდმივი საინფორმაციო ფრონტის გახსნაა.

როდ თორნტონი (2015) გამოყოფს ზეგავლენის როლს საინფორმაციო ომში. იგი კამათობს, რომ ტერმინის დასავლური გაგებისგან განსხვავებით, რუსული პერსპექტივიდან საინფორმაციო ომში ან ოპერაციებში ინფორმაციულ ზეგავლენას უპირატესობა ენიჭება და კინეტიკურ მოქმედებებს მხოლოდ მხარდამჭერი როლი აქვს (Thornton 2015, 42). შესაბამისად, ავტორის მიხედვით, სხვადასხვა ტიპის კინეტიკური ან ფიზიკური მოქმედება შესაძლოა გატარდეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ საინფორმაციო ელემენტმა უფრო დიდი გავლენა იქონიოს მასებზე.

აბრამსი (2016) უარყოფს მოსაზრებებს, რომ საინფორმაციო, ასიმეტრიული თუ ჰიბრიდული ომი ახალი და თანამედროვე ცნებებია და აღნიშნავს, რომ აქტივობები, რომელთაც დღეს რუსეთი იყენებს, მხოლოდ განახლებული ვერსიაა იმ მეთოდებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი იყენებდა და „აქტიურ ღონისძიებებს“ (Active Measures, Активные Мероприятия) უწოდებდა. ავტორის მიხედვით, აქტიური ღონისძიებები სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) ტერმინია, რომელიც თავის თავში სხვადასხვა გავლენის ოპერაციებს აერთიანებს (ასევე USIA Report 1992, და Kux 1985). აბრამსი ტოლობის ნიშანს ხედავს „ჰიბრიდულ ომს“, „აქტიურ ღონისძიებებსა“ და „საინფორმაციო ომს“ შორის. ეს არის აქტივობები, რომელთაც საბჭოთა კავშირი ოპონენტების წინააღმდეგ ათწლეულების განმავლობაში იყენებდა, და არა ინოვაციური მიდგომა ომისადმი (Abrams 2016, 8).

„აქტიური ღონისძიებები“ ზუსტად ის ტერმინია, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით საბჭოთა კავშირის მკვლევარებისა და დისიდენტების მიერ სხვადასხვა ტიპის დეზინფორმაციული, პროპაგანდისტული და ძირგამომთხრელი საქმიანობების აღწერაში. ტომას ბოგჰარდტი (2009) საბჭოთა კავშირის აქტიური ღონისძიებების აღწერისას აღნიშნავს, რომ აღნიშნულის ძირითადი მიზანი მოსკოვის საერთაშორისო მიზნების მიღწევისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა იყო (Boghardt 2009, 1). ავტორის მიხედვით, აქტიური ღონისძიებები აერთიანებდა მედიის მანიპულაციასა და კონტროლს, წერილობით და ზეპირ დეზინფორმაციას, საზღვარგარეთ არსებული კომუნისტური პარტიების გამოყენებას, ფარული რადიო სიხშირეების წარმოებას, აჯანყებულებისა და ტერორისტული ჯგუფების წახალისებასა და მხარდაჭერას (Boghardt 2009).

იური ბეზმენოვი აქტიურ ღონისძიებებს, მის 1984 წლის ფართოდ ცნობილ ინტერვიუში, ასევე უწოდებს იდეოლოგიურ დივერსიას ან ფსიქოლოგიურ ომს (Bezmenov 1984). მისი თქმით, აქტიური ღონისძიებები ითვალისწინებს სამიზნე აუდიტორიების აღქმასა და განწყობებზე შეტევას და საკუთარი მიზნების მიღწევისათვის შესაბამისი საინფორამციო გარემოს ჩამოყალიბებას. ბეზმენოვის მიხედვით, აქტიური ღონისძიებები ფართოდ იყო ინტეგრირებული არამარტო საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურებში, არამედ მთლიანად სამხედრო-პოლიტიკურ ინსტიტუტებში (ასევე Boghardt 2009, Bittman 1985).

ლადისლავ ბიტმანი (1985) უფრო დეტალებში აღწერს აქტიური ღონისძიებების არსს. ბიტმანის მიხედვით, ცივი ომის პერიოდში, საბჭოთა ბლოკის ქვეყნები ორი ტიპის სადაზვერვო საქმიანობას აწარმოებდნენ. პასიური საქმიანობა - ეს იყო კლასიკური სადაზვერვო საქმიანობა, ანუ ინფორმაციის მოპოვება, წყაროების მოძიება და გადაბირება. მეორე ტიპის საქმიანობა, რომელიც ძირითადად პროპაგანდისტულ, სადეზინფორმაციო, და იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდა აქტიური ღონისძიებების სახით იყო ცნობილი (Bittman 1985). ჩვენი მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოციან წლებამდე ბიტმანის მიხედვით აქტიურ ღონისძიებებს მეორადი პოზიცია ეკავა, ხოლო სამოციანი წლებიდან მოყოლებული ზუსტად აქტიური ღონისძიებების წარმოება იყო სადაზვერვო საქმიანობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხაზი (Bittman 1985).

ტერმინოლოგიის განხილვიდან ორი ძირითადი მიგნება შეიძლება გამოვყოთ. პირველი, ეს არის, დასავლეთსა და რუსეთ/საბჭოთა კავშირს შორის არამარტო ტერმინოლოგიური განსხვავებები, არამედ კონცეპტუალური თავისებურებები. დასავლური პოლიტიკური კულტურა არ იძლევა საშუალებას საინფორმაციო ომი ან მისი ნებისმიერი სინონიმი აქტიურად იყოს გამოყენებული და ინტეგრირებული ქვეყნის პოლიტიკურ ინსტიტუტებში. შესაბამისად, თვითცენზურა, სამოქალაქო კონტროლი და ზოგადი პოლიტიკური გარემოებები, ერთგვარად გაუგებარს ხდის მათთვის საინფორმაციო ომის ყოველდღიურობასა და რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში მის მნიშვნელობას. სავარაუდოდ, ზუსტად ამიტომ არის დასავლური ლიტერატურა ასეთი მრავალფეროვანი ადამიანის ქცევასა და განწყობებზე ზეგავლენის მოხდენის ფენომენის აღწერის მხრივ.

მეორე მიგნება, რაც შეიძლება გამოვყოთ, ეს არის თუ რა ინსტიტუციას ექვემდებარება საინფორმაციო ომის წარმოება. დასავლეთში ეს პირდაპირ სამხედრო დისციპლინად არის აღქმული და ითვალისწინებს საომარ ან წინასაომარ სიტუაციაში საინფორმაციო სივრცის კონტროლსა და ჩამოყალიბებას. რუსეთისთვის კი საინფორმაციო ომის წარმოებაზე პასუხისმგებელია არა სამხედრო ძალები, არამედ უშიშროების სამსახურები, და როგორც საინფორმაციო ომის რუსული სკოლის ლიტერატურაში მკვეთრადაა ხაზგასმული, ის ინტეგრირებულია სამხედრო-პოლიტიკურ-დიპლომატიურ სისტემაში და გადაწყვეტილებების მიღება სტრატეგიულ დონეზე, ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური რგოლის მიერ ხდება. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ისეთი დეზინფორმაცია, როგორიც მაგალითად საქართველოში მდებარე ლუგარის ლაბორატორიას ეხება, არა ფარულად და ანონიმურად, არამედ ქვეყნის უმაღლესი პირების მიერ არის გაჟღერებული (იმედი ნიუსი 2018 (1), 2018 (2), 2018 (3)).

საინფორმაციო ომის ელემენტები

იმისათვის, რომ საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია სრულფასოვნად გავიაზროთ, მნიშვნელოვანია ერთმანეთს შევადაროთ საინფორმაციო ომის რამდენიმე ელემენტი. პირველი, მნიშვნელოვანია შევადაროთ საინფორმაციო ომის სტრატეგიული მიზნები და მოვიძიოთ პასუხები შემდეგ კითხვებზე: ვინ იყო საინფორმაციო ომის ძირითადი სამიზნე? როგორი ნარატივის გავრცელებას ცდილობდნენ მათ წინააღმდეგ? და რა იყო ის ზოგადი მიზნები რის მიღწევასაც საინფორმაციო ომით ცდილობდნენ?

მეორე ელემენტი - საინფორმაციო ომის წარმოებისათვის საჭირო საკომუნიკაციო არხები. აქ ვუპასუხებთ შემდეგ შეკითხვებს: თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობებამდე რა ტიპის საკომუნიკაციო არხები გამოიყენებოდა საინფორმაციო ომის წარმოების საქმეში? როგორ ხდებოდა ამ არხების გამოყენება? მესამე ელემენტი - საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენის ხერხები, შემდეგი შეკითხვებით: რა ტაქტიკები და მეთოდები გამოიყენებოდა თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების გამოგონებამდე? ასევე, კვლევის მომდევნო ნაწილებში, საინფორმაციო ომი და აქტიური ღონისძიებები სინონიმებად იქნება გამოყენებული.

3.1. სტრატეგიული მიზნები:

ცივი ომის პერიოდში მსოფლიოს გეოპოლიტიკური წყობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. თუმცა, მაშინაც, ისევე როგორც დღეს საბჭოთა კავშირის/რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგეს ამერიკის შეერთებული შტატები და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) წარმოადგენს. ამასთან ერთად, იდეოლოგიური კონფლიქტის ფონზე მნიშვნელოვანი იყო მესამე მსოფლიოს ქვეყნებზე გავლენის დამყარება. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის აქტიური ღონისძიებების ძირითად სამიზნე აუდიტორიებს შეერთებული შტატები, ნატო და მესამე მსოფლიოს ქვეყნები წარმოადგენდნენ (Bezmenov 1983, 1984; Bittman 1985; Boghardt 2009).

აღნიშნულ სამიზნე აუდიტორიებს საბჭოთა აქტიურ ღონისძიებებში სხვადასხვა როლი ეკავა. აქტიური ღონისძიებების ძირითადი ძალისხმევა აშშ-ის მოსახლეობაში, ქვეყნის ინსტიტუციებისა და მთავრობის დისკრედიტაციაზე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო რეპუტაციის შელახვაზე მოდიოდა. სამიზნე პირველ შემთხვევაში იყო აშშ-ის მოსახლეობა, სადაც საბჭოთა კავშირი ჯერმოსახლეობასა და მთავრობას შორის უნდობლობის გაღვივებას, მათში გარკვეული რასობრივი დაძაბულობების შექმნასა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიებების ფედერალური ბიუროს შესახებ კონსპირაციული თეორიების გავრცელებას ცდილობდა (Bittman 1985, Kux 1985). რაც შეეხება აშშ-ის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიებს, მაგალითად, ბიტმანი (1985) აღწერს, რომ 1970-იანი წლების აქტიური ღონისძიებების გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში, რომლის შედგენაშიც თვითონაც იღებდა მონაწილეობას, გაწერილი იყო, რომ აშშ მოხსენიებული უნდა ყოფილიყო, როგორც „იმპერიალისტური და ნეოკოლონიალური ძალა, რომელიც მსოფლიო მშვიდობასა და სხვა ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს“ (Bittman 1985, 46). აღსანიშნავია, რომ ეს ეპითეტები დღესაც გამოიყენება ამერიკისა და დასავლეთის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიებში. ბიტმანს თავის წიგნში ერთგვარი საკომუნიკაციო გეგმაც აქვს მოცემული, რომელიც იმდროინდელ საკომუნიკაციო თემებსა და მიზნებს მოიცავს:

- “მსოფლიოს საზოგადოების განწყობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ;

- საბჭოთა საგარეო პოლიტიკისათვის შესაფერისი პირობების შექმნა, მსოფლიოს მოსახლეობის საბჭოთა კავშირის პოლიტიკის რეალური ბუნების შესახებ შეცდომაში შეყვანით;
- აშშ-ის მოკავშირეებისა და მეგობრებისგან იზოლაცია დასავლეთ ევროპაში, ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების გამოყენებით;
- ნატო-ს წევრი ქვეყნების დარწმუნება, რომ აშშ-ის სამხედრო სტრატეგია მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება და ამით ორგანიზაციის პარალიზება;
- მესამე მსოფლიოში დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის წინააღმდეგ უნდობლობის გავრცობა, რაც ხელს შეუშლის ახლო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას ამ ჯგუფებს შორის. ასევე, ხაზგასმა, რომ აშშ-ის მიზნები და პოლიტიკა შეუსაბამოა მესამე მსოფლიოს ამბიციებთან" (Bittman 1985, 46).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ომის თანამედროვე კამპანიების ანალიზის ფონზე ჩანს, რომ ჩამოთვლილი მიზნები ამერიკასთან მიმართებაში დღესდღეობით თითქმის უცვლელია.

3.2. საკომუნიკაციო არხები:

მართალია, რომ დეზინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის გამოგონებამდე გაცილებით უფრო დიდ დაგეგმვას, დროსა და ენერგიას მოითხოვდა, თუმცა ამავდროულად არ უნდა დავივიწყოთ, რომ დეზინფორმაციის აღმოჩენას და მასზე დროულ რეაგირებას ზუსტად იგივე გამოწვევები ელოდა. ამასთან, ნათელია, რომ თანამედროვე საინფორმაციო ომი მხოლოდ სოციალურ მედიაში არ იწარმოება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შევხედოთ თუ როგორ ხდებოდა საკომუნიკაციო არხების ხელში ჩაგდება და ძირითადად როგორ საკომუნიკაციო არხებს არჩევდა საბჭოთა აქტიური ღონისძიებები საკუთარი მიზნების მისაღწევად.

ცივი ომის დროინდელი საინფორმაციო გარემო რადიკალურად განსხვავდება ახლანდელისგან. უკიდურესად პოლარიზებულ სამყაროში საბჭოთა აქტიურ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი გამოწვევა ჰქონდა. დეზინფორმაციების გავრცელება სამთავრობო ან კომუნისტური მედიის მეშვეობით ნიშნავდა, რომ დასავლური მედია მას არ აიტაცებდა მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გარეშე. შესაბამისად, საბჭოთა დაზვერვის სამსახურები ძირითადად მესამე მსოფლიოს მედიაზე გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ გაზეთებსა და ჟურნალებში გავრცელებული ინფორმაციები გამეორების პრინციპით მოხვდებოდა მსმენელებთან (Kux 1985, 23). ეს საქმიანობა, მეტი დამაჯერებლობისა და ავთენტურობისათვის ანონიმური წერილების გაგზავნის ან ჟურნალისტების მოსყიდვის საფუძველზე ხდებოდა (Boghardt 2009).

ბოგჰარდტი (2009) აღწერს, რომ ინდოეთი, როგორც გაცხადებულად მიუმხრობელი ქვეყანა, რომელსაც ისტორიული წარსულის გამო ინგლისურენოვანი პრესა გააჩნდა, საკმაოდ დიდ როლს ატარებდა საბჭოთა აქტიური ღონისძიებებისათვის. ინდოეთი მიუმხრობლობის გამო, მკაცრად არ აკონტროლებდა საბჭოთა უშიშროების თანამშრომლების შედინებას ქვეყანაში. შესაბამისად, 1980-იან წლებში 150-ზე მეტი სუკ-ის და გრუ-ს აგენტი მოქმედებდა ქვეყანაში (Boghardt 2009). მათი ძირითადი საქმიანობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქტიური ღონისძიებები იყო. ბოგჰარდტი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ „მხოლოდ 1975 წელს სუკ-მა მედიაში 5 510 ამბის განთავსება შეძლო და 10 ინდურ გაზეთსა და ერთ საინფორმაციო სააგენტოს მართავდა" (Boghardt 2009, 6).

საბჭოთა კავშირის აქტიური ღონისძიებების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოს მოკვლევის გაკეთება დაავალა (USIA 1992). ანგარიში მიმოიხილავს საბჭოთა აქტიურ ღონისძიებებს ცივი ომისა და მის შემდგომ პერიოდში. ანგარიშის ავტორები, აქტიური ღონისძიებების გავრცელების სამ კატეგორიას აღწერენ. პირველი კატეგორია, ეს არის შავი ანუ ფარული ღონისძიებები და წყაროები. ანგარიშის მიხედვით, ფარული ღონისძიებები მოიცავდა გავლენის აგენტებს, ანონიმურ მედია განთავსებებს და მართვად მედიას, რომლებიც მთავრობებისგან ფარულად, სხვადასხვა ტიპის არგუმენტებს, ინფორმაციას, დეზინფორმაციას და სლოგანებს ავრცელებენ მოსახლეობაში (USIA 1992). გავლენის აგენტები სუკ-ის აქტიური ღონისძიებების განსაკუთრებული ნაწილი იყო. გავლენის აგენტებს ძირითადად ჟურნალისტები, მეცნიერები ან სხვა ტიპის საჯარო პირები ან ცნობადი სახეები წარმოადგენდნენ, რომლებიც ღია კავშირში არ იყვნენ საბჭოთა კავშირთან, თუმცა უნებლიედ საკუთარ ნაშრომებსა თუ საჯარო გამოსვლებში კომუნისტურ ნარატივებს ავრცელებდნენ. საბჭოთა უშიშროება მათ „გავლენის აგენტებად“, „ქვეცნობიერ გამვრცელებლებად“ ან უბრალოდ „სასარგებლო იდიოტებად“ მოიხსენიებოდა (Boghardt 2009, 8).

მეორე კატეგორია, ანგარიშის მიხედვით, ნაცრისფერი აქტივობები და საკომუნიკაციო არხებია. ნაცრისფერი ანუ ნახევრად ფარული ოპერაციები საბჭოთა კავშირის მიერ მასთან აფილირებული პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით იწარმოებოდა. იმისდა მიუხედავად, რომ გარკვეული კავშირები ამ ტიპის პოლიტიკურ მოძრაობებსა და ორგანიზაციებს შორის ვერ იმალებოდა, ორგანიზაციები მაინც ამტკიცებდნენ, რომ ისინი დამოუკიდებელი მოთამაშეები იყვნენ. შესაბამისად, ანგარიშის ფარგლებში, ამ ტიპის აქტივობებს ნახევრად ფარული დაერქვა (USIA 1992).

სსრკ-ს მოკავშირე ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ მოძრაობებს, უფრო სიღრმისეულად, დენის კუქსი (Kux 1985) აღწერს. ასეთ ჯგუფში შედიან ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად მსოფლიო მშვიდობის საბჭო. იგი 1949 წელს ჩამოყალიბდა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღესაც ფუნქციონირებს. ცივი ომის პერიოდში, იგი წარმოადგენდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო საქმიანობის მხარდამჭერსა და ადვოკატს (Kux 1985, 26). ამ და სხვა მრავალი ჯგუფის ძირითადი ფუნქცია, საბჭოთა კავშირის საქმიანობებისა და პოლიტიკის ნორმალიზება და იდეოლოგიური პროპაგანდის გავრცელება იყო. ამ ტიპის ორგანიზაციები განსაკუთრებით წარმატებულები აღმოჩნდნენ ლათინურ ამერიკაში, სადაც რამდენიმემ მოახერხა მნიშვნელოვანი არაკომუნისტური მიმდევრების მოხვეჭა, რამაც მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა (Kux 1985, 22).

ნაცრისფერ აქტივობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოური პოლიტიკური პარტიები. ანგარიშის მიხედვით, ოთხმოციან წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წელიწადში დაახლოებით 20 მილიონ დოლარის პირდაპირ ფინანსურ დახმარებას გასცემდა 98 სხვადასხვა პარტიისა და მოძრაობის დასაფინანსებლად (USIA 1992). პარტიები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, საბჭოთა საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის მსოფლიო ასპარეზზე მხარდასაჭერად და ნორმალიზაციისთვის გამოიყენებოდა (განსაკუთრებით მესამე მსოფლიოში). კუქსი კი ამბობს, რომ აღნიშნული პარტიები და ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში ახალი კადრების მოსამზადებლად გამოიყენებოდა, რომელთაც შემდგომ საბჭოთა აქტიური ღონისძიებების განსახორციელებლად იყენებდნენ (Kux 1985, 22).

ბოლო კატეგორია, ანგარიშის მიხედვით, თეთრი აქტიური ღონისძიებები და წყაროებია. თეთრი აქტივობების ყველაზე მნიშვნელოვანი და სენსიტიური ნაწილი, ანუ საერთაშორისო დონეზე შეცდომების და ჩავარდნების გაქარწყლება, ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, კომუნისტური პარტიის საერთაშორისო ინფორმაციის დეპარტამენტს ებარა (USIA 1992, 13). სხვა დანარჩენ, ნაკლებ სენსიტიურ აქტივობებს კი აქტიურ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი სხვა პოლიტიკური სტრუქტურები ახორციელებდნენ.

ბუნებრივია, მათ დაქვემდებარებაში შედიოდა საბჭოთა კავშირის მიერ ღიად მართული მედია. შესაბამისად, მას შემდეგ რაც აქტიური ღონისძიებების თემები, არგუმენტები და ინფორმაცია დამტკიცდებოდა, ისინი ეგზავნებოდა ისეთ საინფორმაციო სააგენტოებს, როგორიცაა "Novosti, TASS, რადიო მოსკოვი, რადიო თავისუფლება და პროგრესი და სხვები" (USIA 1992, 13-14).

აქვე, თეთრ საინფორმაციო აქტივობებსა და საკომუნიკაციო არხებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა კავშირის მთელი პოლიტიკური ელიტა და ძალოვანი სტრუქტურების გადაწყვეტილების მიმღები პირები (Boghardt 2009, Bittman 1985, Bezmenov 1983, 1984, Kux 1995, USIA 1992). კონგრესისთვის მომზადებულ ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საბჭოთა აქტიური ღონისძიებების შემოქმედების მიერ გავრცელებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები ხშირად გამოიყენებოდა არგუმენტებად დასავლეთის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ოფიციალური პირების მიერ სხვადასხვა ოფიციალურ მიმართვებში (USIA 1992).

3.3. შეტევის მეთოდები:

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საინფორმაციო ომის მეთოდებზე, აქ მნიშვნელოვანია განვაცალკევოთ ზეგავლენის მოხდენის კამპანიის გავრცელების მეთოდები და საინფორმაციო ომის ტაქტიკები. თავდაპირველად განვიხილავთ კამპანიის გავრცელების მეთოდებს. ამ მხრივ, ბიტმანი (1985) ოთხ სქემას გვთავაზობს.



მოდელი 1. (Bittman 1985, 50)

პირველ მოდელში ბიტმანი სამ მონაწილეს გამოყოფს. ოპერატორი არის საინფორმაციო ომის ინიციატორი და დამგეგმავი, რომელიც პროვოცირებას უკეთებს გავლენის აგენტს და მას წააქეზებს ან უბიძგებს, რომ ოპერატორისთვის სასურველი შეტევა განხორციელდეს მოწინააღმდეგეზე (იხ. მოდელი 1). ეს მარტივი მოდელი საშუალებას იძლევა ინიციატორი ანონიმური დარჩეს, მოწინააღმდეგე კი შეტევის ავტორად და შემსრულებლად გავლენის აგენტს აღიქვამს.

საინფორმაციო ომის მოდელი 2

მოდელი 2. (Bittman 1985, 50)

მეორე მოდელი ასახავს ოპერატორის მიერ პირდაპირ შეტევას მოწინააღმდეგეზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეჭვის გარდა დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ შეტევა ოპერატორმა განახორციელა არ არსებობს. მოწინააღმდეგე მიზანში იღებს გავლენის აგენტს. შესაბამისად, მოწინააღმდეგის კონტრპროპაგანდისტული ზომები მიღებულია არა ოპერატორის, არამედ გავლენის აგენტის მიერ, რაც მას თავის დაცვისკენ უბიძგებს. შესაბამისად, ხელოვნურად იქმნება დაპირისპირება მოწინააღმდეგესა და გავლენის აგენტს შორის.

საინფორმაციო ომის მოდელი 3



მოდელი 3. (Bittman 1985, 51)

მესამე მოდელი, ოთხი მოდელიდან ყველაზე მარტივია. იგი მოიცავს ოპერატორის მიერ მოწინააღმდეგეზე პირდაპირ განხორციელებულ შეტევას. ამ მოდელში ბიტმანი (1985) აღწერს, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც პირდაპირი და ღია შეტევის მიუხედავად, მოწინააღმდეგე ამ მოვლენას არა საინფორმაციო ომის აქტივობად, არამედ დამსახურებულად ან ბუნებრივ რეაქციად აღიქვამს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, რუსეთის მიერ საქართველოში ნატო-ს ან აშშ-ის სამხედრო სწავლებების შესახებ გამოხატული აღშფოთება. ხშირ შემთხვევაში, ასეთი რეაქცია მოსალოდნელი და ლოგიკურია, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის გზავნილები და პოზიციონირება ამ ტიპის განცხადებების გაკეთების დროს, არ არის განპირობებული ჭეშმარიტი აღშფოთებით ან რეგიონში დესტაბილიზაციის შიშით, არამედ მისი საინფორმაციო ომის ნაწილია.

ბიტმანის მეოთხე მოდელი მეორე მოდელის გავრცობილი ვერსიაა. ამ მოდელში შეტევა ხორციელდება მოწინააღმდეგესა და გავლენის აგენტზე ერთდროულად. ის მიზნად ისახავს ოპერატორის ანონიმურობას და მოწინააღმდეგესა და გავლენის აგენტს შორის კონფლიქტის გაღვივებას. აღნიშნული მოდელის წარმატებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ მოწინააღმდეგე დარწმუნებული იყოს გავლენის აგენტის დამნაშავეობაში და პირიქით გავლენის აგენტი დარწმუნებული იყოს, რომ დამნაშავე მოწინააღმდეგეა. ავტორის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ტიპის ოპერაციების დაგეგმვის დროს არის ოპერატორის ანონიმურობის შენარჩუნება. შესაბამისად, ბიტმანი (1985) ამ მოდელის წარმატებით შესრულებას იდეალურ მოცემულობად მიიჩნევს, რადგან ოპერატორი ანონიმური რჩება და ამავდროულად ახერხებს მოწინააღმდეგესა და გავლენის აგენტს შორის შუღლის გაღვივებას. აღნიშნული მოდელების გააზრება უნდა მოხდეს იმის ფონზე, რომ ისინი შეესაბამება ქვეყნის წინააღმდეგ გამართულ საინფორმაციო ოპერაციებს, ისევე, როგორც ინდივიდების ან ჯგუფების წინააღმდეგ დაგეგმილ აქტივობებს.



მოდელი 4. (Bittman 1985, 51)

აქტიური ღონისძიებების მეთოდების აღწერის დროს, ბეზმენოვი (1983) ხაზს უსვამს, რომ ოპერაციების დაგეგმვის დროს არავის იმის ილუზია არ ჰქონდა, რომ საინფორმაციო ომით შექმნიდნენ ახალ და ხელოვნურ კონფლიქტებს საზოგადოებაში. ავტორის მიხედვით ყველაზე სწორი ანალოგია, რაც საინფორმაციო ომს მიესადაგება არის ძიუდოს ანალოგია. შესაბამისად, საინფორმაციო ომის შესრულებისათვის საჭიროა მოწინააღმდეგის კარგად შესწავლა და მისი წინააღმდეგ მისივე ქმედებების და ინერციის გამოყენება. შესაბამისად, გავლენის აგენტებსა და მოწინააღმდეგეს შორის კონფლიქტის გაღვივებას მათ შორის უკვე არსებული განსხვავებების აღმოჩენა და ამ განსხვავებების გარშემო მოქმედებების წაქეზებაა (Bezmenov 1983). ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ბიტმანიც (1973, 1985) და ჯონ მაკმაჰონი, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე იყო (USPSCI 1982). მაკმაჰონს მაგალითის სახით, ახლო მანძილის ბირთვული ძალების (INF) შესახებ ჩატარებული კამპანია მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო აღნიშნავს, რომ ბირთვული ომი ნამდვილად წარმოადგენს მოსახლეობის დიდი ნაწილის შეშფოთების მიზეზს. საბჭოთა საინფორმაციო ომი ამ რიტორიკას ახალისებს და ეხმარება იმ პროპორციებს მიაღწიოს, რომელიც ბუნებრივისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება (McMahon USPSCI 1982, 5).

ბიტმანი ამ მხრივ აღნიშნავს, რომ „მოტყუება შედარებით ადვილი თამაშია, განსაკუთრებით მათ წინააღმდეგ ვისაც სურს რომ მოატყუონ“ (Bittman 1985, x). შესაბამისად, იგი აღწერს - იმისათვის, რომ სამიზნე აუდიტორიამ ანონიმური ან არასანდო ინფორმაცია მიიღოს და სანდოდ ჩათვალოს, საჭიროა ეს უკანასკნელი მორგებული იყოს მათ მოსაზრებებს, მიკერძოებებსა და რწმენებს. რადგან „თუ გზავნილები კარგად არის მორგებული მათ პოლიტიკურ მიკერძოებებს, ისინი მიდრეკილნი არიან დაიჯერონ უცნაური ბრალდებები და არასანდო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია კონსპირაციების შესახებ “ (Bittman 1985, 56). შესაბამისად, ძალიან მარტივია საინფორმაციო ომის მიზნებისათვის ერთმანეთთან შეპირისპირებული ჯგუფების რადიკალური ნაწილების გამოყენება, ისეთების, როგორიც რადიკალი მემარცხენეები და მემარჯვენეებია, რადიკალი ლიბერალები და კონსერვატორები და ასე შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ომის ძირითადი დასაყრდენი კოგნიტური მიკერძოებებია.

კოგნიტური მიკერძოებები, როგორც დეზინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით 2016 წლის ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ მოექცა. შესაბამისად, საინფორმაციო ომსა და კოგნიტურ მიკერძოებებს შორის კავშირი დროსა და სივრცეშიც შენარჩუნდა (McIntyre 2018, Haiden 2018, Munchau 2017).

რაც შეეხება საინფორმაციო ომის ტაქტიკებს, ბოგჰარდტი (2009) და ბიტმანი (1973, 1985) აღნიშნავენ, რომ საბჭოთა აქტიურ ღონისძიებებში ძირითადი მიმართულება ოფიციალური დოკუმენტებისა და მიმოწერების გაყალბება იყო. ბიტმანი (1973, 1985) იხსენებს, რომ აქტიური ღონისძიებების ფარგლებში, მისი ძირითადი საქმიანობა გაყალბებული დოკუმენტების მომზადება იყო (Bittman 1973, 1985). მაშინდელი საინფორმაციო ომი ძირითადად გაყალბებული წერილების გაგზავნით და მსხვერპლის მიერ გადაუმოწმებლად გამოყენებით საზრდოობდა. ხოლო შემდეგი ნაბიჯი ან გაყალბებული დოკუმენტის ფარგლებში მომდევნო დეზინფორმაციული კამპანიის გამართვა ან გაყალბებულის გამოაშკარავება და მსხვერპლის რეპუტაციის შელახვა იყო.

1980 წელს აშშ-ის კონგრესის დაზვერვის კომიტეტმა მოსმენა ჩაატარა საბჭოთა კავშირის მიერ გაყალბებული დოკუმენტების გამოყენებაზე სადაც აღნიშნულია, რომ ოფიციალური დოკუმენტების გაყალბება აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის განუყოფელი ნაწილი იყო. დოკუმენტის მიხედვით, ყველაზე დამაზიანებელი აშშ-ის მთავრობის ოფიციალური დოკუმენტებისა და კომუნიკეების ყალბი ვერსიები იყო, რომლებიც თითქოსდა აშშ-ის ოფიციალურ პოლიტიკას ასახავდა (USPSCI 1980, 8). ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიციალური კვლევის ფარგლებში, რამდენიმე გაყალბებული დოკუმენტია მიმოხილული, მათ შორის შეერთებული შტატების არმიის საველე სახელმძღვანელო FM 30-31B. აღნიშნულ დოკუმენტში მინიმალური გრამატიკული შეცდომები დაფიქსირდა, ასევე გამოყენებული იყო სწორი ფორმატი, ჟარგონი და ფრაზეოლოგია. ამასთან, გამოყენებული ფურცელი და საბეჭდი მანქანაც შესაფერისი იყო. მასზე გაყალბებული იყო გენერალ ვილიამ ვესტმორელანდის ხელმოწერა და კლასიფიცირებული იყო, როგორც უმაღლესი დონის საიდუმლო (USPSCI 1980, 66). აღსანიშნავია, რომ საველე სახელმძღვანელოებს ასეთი მაღალი დონის საიდუმლოების კლასიფიკაცია იმ პერიოდისთვის არასდროს მინიჭებია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხარისხიანად იყო შედგენილი, გამყალბებლებს მაინც გაეპარათ შეცდომა (USPSCI 1980).

აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი შიგთავსი აშშ-ის იმ ქვეყნების შიდა პოლიტიკაში ჩარევის ინსტრუქციებს წარმოადგენდა, რომლებშიც განთავსებული იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალები, სადაც მემარცხენე და კომუნისტური ძალების შიდა საშიშროება არსებობდა. დოკუმენტის ძირითად გზავნილს კი, საჭიროების შემთხვევაში, აშშ-ში არსებული მემარცხენე

ორგანიზაციების წაქეზება და მათი აღზევების საფრთხის გამოყენებით, ქვეყნებთვის უფრო მკაცრი შიდა უსაფრთხოების ზომების მიღება წარმოადგენდა(USPSCI 1980). ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ გამოირკვა, რომ პირველად ეს სახელმძღვანელო 1975 წელს თურქულ მემარცხენე იდეოლოგიის მქონე გაზეთში ახსენეს, თუმცა, თვითონ დოკუმენტი ერთი წლის შემდეგ ბანგკოკში, ფილიპინების საელჩოში ანონიმურად დატოვეს (USPSCI 1980).

გაყალბებულ დოკუმენტებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ჭორის გავრცელებას. ჭორი ძირითადად პოლიტიკური დევნილებისა, დისიდენტებისა და ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენებოდა (Bittman, 1973, 1985, Kux 1985, Boghardt 2009). ჭორის გავრცელება ძირითადად ჭორის ობიექტის ავტორიტეტისა და სანდოობის შელახვაზე იყო ორიენტირებული. ეს ხდებოდა მათი დაზვერვის სამსახურებთან მიკუთვნებით, მათი სექსუალური ორიენტაციისა და აღვირახსნილობის შესახებ მითების შექმნით ან სხვა ტყუილებისა და კონსპირაციების გამოგონებითა და გავრცელებით. ჭორების გასავრცელებლად გამოიყენებოდა აგენტურული ქსელები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ აუდიტორიებში ავრცელებდნენ ინფორმაციებს. ასევე გამოიყენებოდა ოფიციალური და აფილირებული მედიაც, რომელიც გამეორების მეთოდით უფრო მეტ სანდოობას მატებდა ჭორებს (Bittman 1973, 1985).

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ თუ როგორ გამოიყენება ზემოთ აღნიშნული ელემენტები ერთობლიობაში და ამავდროულად შევაფასოთ თუ რა ტიპის ტრანსფორმაცია განიცადა საინფორმაციო ომის მეთოდებმა თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ორი საინფორმაციო კამპანია. ისინი შინაარსითა და მიზნებით ერთმანეთს ჰგავს. პირველი კამპანია, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიგეგმა და განხორციელდა, რომელიც შიდსის შესახებ აქტიური დეზინფორმაციული კამპანიის წარმოებას ეხებოდა. იგი მიზნად ისახავდა შიდსის გარშემო შექმნილი კონსპირაციებისა და დეზინფორმაციების აშშ-ის წინააღმდეგ გამოყენებას ამერიკაში და მესამე მსოფლიოში. მეორე კამპანია - 2020 წელს იწარმოებოდა და კოვიდ-19 ის გარშემო იყო აგებული. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ნარატივებზე, გზავნილებსა და საინფორმაციო ომის ტაქტიკებზე, გასული საუკუნისოთხმოციან წლებში და 2020 წელს და გამოვიტანოთ დასკვნები.

4.1. ოპერაცია „ინფექცია“

ოპერაცია „INFEKTION“, როგორც მრავალი სხვა კამპანია, გაზეთში გამოქვეყნებული სტატიით დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმ დროისთვის, საბჭოთა კავშირის საინფორმაციო ომისათვის ინდოეთს, ისტორიული წარსულის გამო მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. ზუსტად ინდური გაზეთი სახელად „Patriot“ გახდა ის წყარო, რომელმაც 1983 წლის 17 ივლისს გამოაქვეყნა სტატია დაშიდსის გარშემო ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას ჩაუყარა საფუძველი (Boghardt 2009). სტატია ეფუძნებოდა ანონიმურ წერილს სახელად „შიდსი შეიძლება შემოიჭრას ინდოეთში: მისტიური დაავადება, რომელიც გამოწვეულია აშშ-ში ჩატარებული ექსპერიმენტებისგან“ (Boghardt 2009, 4). აღნიშნული წერილი თითქოსდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერისა და ანთროპოლოგის მიერ იყო დაწერილი. იგი ამტკიცებდა, რომ შიდსი პენტაგონის ბიოლოგიური ექსპერიმენტების შედეგი იყო. ასევე, აღნიშნავდა, რომ ეს ბიოლოგიური იარაღი სავარაუდოდ პაკისტანში გადაინაცვლებდა, რაც უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა მეზობელ ინდოეთს (Boghardt 2009). სტატია საკმაოდ პროფესიონალურად იყო შედგენილი. იგი ეყრდნობოდა საჯაროდ ცნობილ ფაქტებს შიდსზე, რითაც თავდაპირველ სანდოობას იწვევდა. შემდგომ ინფორმაცია, ასევე საჯაროდ ცნობილ ბიოლოგიური იარაღის პროგრამებს შეეხო, რომელსაც აშშ აწარმოებდა ორმოცდაათიან წლებში და განსაკუთრებული ყურადღება, 1960-იანი წლების ბოლოს, ფორტ დერიკში ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობის შესახებ გამახვილდა (Boghardt 2009). მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ნიქსონმა, 1969 წელს, აღმასრულებელი ბრძანების საფუძველზე, ბიოლოგიური იარაღის შემუშავება აკრძალა (Boghardt 2009) და ყველა არსებული ტოქსინის განადგურება მოითხოვა (Kinzer 2019), რა თქმა უნდა, ამის შესახებ ანონიმურ წერილში არაფერი იყო ნახსენები. წერილში იყოგრამატიკული და სინტაქსური შეცდომები, რომლებიც ლოგიკურად, “ცნობილ ამერიკელ მეცნიერს” არ უნდა დაეშვა (Boghardt 2009).

1983 წელს გამოქვეყნებული სტატია, დაახლოებით 3 წელი შეუმჩნევლად რჩებოდა, დიდწილად იმიტომ, რომ იმ დროისთვის ინდოეთისთვის შიდსი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვანი ინტერესის სფეროს. ამასთან, როგორც ჩანს გათვლილი იყო, რომ შიდსი თუ არა სტატიაში ნახსენები პაკისტანი მაინც მიიქცევდა მოსახლეობის ყურადღებას, რომელიც ინდოეთის მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. თუმცა, პირველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა (Boghardt 2009).

უკვე 1985 წელს, შიდსის გავრცელებამ გლობალური ხასიათი მიიღო და მოსახლეობაში უკვე საკმარის ინტერესს იწვევდა, რომ საინფორმაციო ომის ძლიერი იარაღი გამხდარიყო (Boghardt 2009). შესაბამისად, 1985 წლის ოქტომბერში გაზეთში „ლიტერატურული გაზეთი“ (Литературная газета) ვალენტინ ზაპევალოვის სტატია გამოქვეყნდა, რომელიც შიდსის ეპიდემიას ეძღვნებოდა (Boghardt 2009). სტატია გაზეთ „პატრიოტ“-ში გამოყენებულ ინფორმაციასა და სტრუქტურას მიჰყვებოდა. თავდაპირველად მიწოდებული იყო ფაქტობრივი ინფორმაცია შიდსის შესახებ, თანდართული იყო განცხადებები, რომ მსოფლიოში იგი აშშ-დან გავრცელდა. შემდგომ ამან წარმოშვა კითხვები, რომლებიც შეიძლება ითქვას, მის ლოგიკას ამართლებდა. მაგალითად: რატომ გამოჩნდა შიდსი პირველად აშშ-ში და ზუსტად იმ ქალაქებში გავრცელდა, სადაც ორმოცდაათიან და სამოციან წლებში მთავრობა ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს ატარებდა?! (Boghardt 2009). შემდგომ სტატია მისი წინამორბედივით მიმოიხილავდა ბიოლოგიური იარაღის ექსპერიმენტებსა და აშშ-ის მთავრობის როლს მათ შექმნაში. რაც მთავარია, გაზეთ „პატრიოტ“-ში გამოქვეყნებული სტატია მითითებული იყო, როგორც წყარო ფორტ დერეკში შიდსის შექმნის ინფორმაციაზე (Boghardt 2009, 7).

სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აღნიშნულ ოპერაციაში, არა გაყალბებულმა წერილებმა და მართულ მედიაში დაბეჭდილმა დეზინფორმაციამ, არამედ გავლენის აგენტებმა შეასრულეს. ზუსტად გავლენის აგენტმა მოახერხა, რომ შიდსის შესახებ დღესაც არსებობს გარკვეული დეზინფორმაციები და კონსპირაციები, მიუხედავად იმისა, რომ აღიშნული ოპერაციის შემდეგ 35 წელი გავიდა. ამ შემთხვევაში, გავლენის აგენტის როლი აღმოსავლეთ გერმანელმა ბიოფიზიკოსმა პროფესორმა იაკობ სეგალმა ითამაშა (Geissler 2016). მისი პენსიაზე გასვლის შემდგომ, მიუხედავად იმისა, იგი რომ არ იყო ვირუსული დაავადებებისა ან გენეტიკის მიმართულების სპეციალისტი, ხშირად წერდა შიდსის შესახებ. (Boghardt 2009, Geissler 2016). სეგალის ოპერაციაში ჩართვა როგორ მოხდა რთული სათქმელია, თუმცა ფაქტი ერთია, რომ მისი როლი, როგორც გერმანელი მეცნიერისა და საერთაშორისო არენაზე ცნობილი ბიოფიზიკოსის, უმნიშვნელოვანესი იყო (Geissler 2016). ბოგჰარდტის აზრით, მას სუკ-მა ან აღმოსავლეთ გერმანიის უშიშროებამ, ანონიმური წყაროების მეშვეობით, გაყალბებული საიდუმლო დოკუმენტები მიაწოდა, რამაც მას მსოფლიო ასპარეზზე „ამერიკული ექსპერიმენტების“ მხილება შთააგონა (Boghardt 2009).

ფაქტია რომ, მან აქტიურად დაიწყო შიდსის შესახებ კამპანია და 47-გვერდიანი დოკუმენტი შექმნა შიდსის წარმოშობასა და ბუნებაზე მის მეუღლესთან და მეგობართან, ჰუმბოლტის უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორთან რონალდ დეჰმლოუსთან ერთად (Boghardt 2009). ნაშრომში მან სრულიად უარყო შიდსის აფრიკული წარმოშობის შესაძლებლობა და ყურადღება გაამაზვილა აშშ-ის მთავრობის მიერ ჩატარებულ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებზე. მიუხედავად ავტორების მიერ იმის აღიარებისა რომ მათი არგუმენტები არ ეყრდნობოდა ზუსტ ინფორმაციას, მათ მაინც დაუშვეს, შიდსის აშშ-ის ლაბორატორიებში წარმოშობის შესაძლებლობა (Boghardt 2009). აღნიშნული დოკუმენტი ვირუსულად გავრცელდა 1986 წელს მიუმხრობელი ერების კონფერენციაზე ჰარარეში, ზიმბაბვეში (Geissler 2016). დოკუმენტი კარგად იყო მორგებული მესამე მსოფლიოს აუდიტორიაზე, ვინაიდან იგი, როგორც მრავალი მესამე მსოფლიოს ექიმი თვლიდა, რომ შიდსის აფრიკული წარმოშობა პირველი მსოფლიოს რასიზმის შედეგი იყო და არა მართებული სამეცნიერო დასკვნა (Geissler 2016). შესაბამისად, სეგალის არგუმენტები აფრიკის 25 ქვეყნის პრესაში გამეორდა (Boghardt 2009). მიუხედავად იმისა, რომ სეგალს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევდნენ მისი კოლეგები მთელი მსოფლიოდან, იგი ღრმად იყო დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში და ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებდა (Geissler 2016).

რაც შეეხება საბჭოთა პროპაგანდისტულ მანქანას, ის, შიდა აუდიტორიისთვის, აქტიურად აშუქებდა ამერიკის გარშემო შექმნილ შიდსის კამპანიას (Boghardt 2009). სეგალის კამპანიამ შეძლო, რომ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მისი თეორია ინტენსიურად შუქდებოდა, იმ დონეზეც კი, რომ ბრიტანულმა გაზეთებმა Sunday Express-მა და Daily Telegraph-მა მისი

არგუმენტები თითქმის კრიტიკისა და კომენტარის გარეშე გააშუქეს. „აღნიშნული ისტორია 1987 წლის ბოლოსკენ, მსოფლიოს 80 ქვეყანაში გამოქვეყნდა, გამოჩნდა 200-ზე მეტ ჟურნალში 25 ენაზე“ (boghardt 2009, 14).

4.2. ოპერაცია კოვიდ-19

მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19 ჯერ ისევ გლობალურ გამოწვევად რჩება და მის გარშემო წარმოებული საინფორმაციო კამპანია დასრულებული არ არის, ჩვენ მაინც შეგვიძლია გადავხედოთ გავლილი წლის განმავლობაში გატარებულ აქტივობებს და შედარებისათვის საჭირო სურათი შევქმნათ. ოფიციალური განცხადებები რუსული, ჩინური და ირანული დეზინფორმაციის შესახებ კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით უკვე მაისის თვეში გაკეთდა. კერძოდ, 2020 წლის 27 მარტს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა სპეციალური ბრიფინგი, რომელიც კოვიდ-19-ის გარშემო არსებულ დეზინფორმაციას მიმოიხილავდა (USSD 2020). აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებს არ დაუმალავთ, რომ რუსული დეზინფორმაცია პერმანენტული ხასიათისაა. ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ რუსული ნარატივის გამავრცელებელი საინფორმაციო არხები, საკუთარი პლატფორმების მეშვეობით, ჩინური და ირანული ნარატივების გამეორებასა და გავრცელებასაც ახდენენ (USSD 2020).

მნიშნველოვანია გაკეთდეს განსხვავება რუსულ, ჩინურ და ირანულ მოტივებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სამივეს მიზანია დასავლეთის წინააღმდეგ განაწყოს მსოფლიო მოსახლეობა და შესაბამისად შეასუსტოს დასავლური სტრუქტურების ერთიანობა, კორონავირუსის პანდემიის გარშემო დეზინფორმაციული კამპანიები მაინც სხვადასხვა ძირეულ მოტივს ატარებს (Shapiro et. Al 2020). კორონავირუსის გავრცელებამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩინეთის ავტორიტეტზე ქვეყნის შიგნით და მსოფლიოში. შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ვირუსი არ ასოცირდეს კომუნისტური პარტიის სისუსტეებთან და ნაკლოვანებებთან. ამისათვის, კორონავირუსის კამპანიაში მონაწილეობს არამარტო მართული და სამთავრობო მედია, არამედ ჩინეთის ოფიციალური პირებიც. მაგალითად, 2020 წლის 12 მარტს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორამციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლიჯიან ჟაომ (Lijian Zhao) საკუთარი ოფიციალურ ტვიტერის გვერდზე გააზიარა კონსპირაციული სტატია, სადაც ვირუსის გამომგონებელად და შემქნელად აშშ სახელდება (Zhao 2020). ანალოგიურად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ირანს კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული ზარალი მიაყენა, რის დამალვასაც მთავრობა აქტიურად ცდილობდა (Al Jazeera 2020, Reuters 2020, France 24 2020).

მეორე მხრივ, რუსეთის მუდმივი პროპაგანდის მანქანა აქტიურად იყენებდა აღნიშნულ ნარატივებს და საკუთარსაც ავრცელებდა. ისინი აქვეყნებდნენ ინფორმაციას, რომ ვირუსის უკან აშშ და მათი ბიოლოგიური იარაღის ექსპერიმენტები იდგა (Globalresearch 2020). ასევე, რომ ვირუსი სინამდვილეში არ არსებობს და ყველაფერი კაპიტალისტური მაქინაციაა გლობალური პანიკის შესაქმნელად და ფულის გასაკეთებლად (Southfront 2020). კორონავირუსი ასევე აქტიურად გამოიყენებოდა ევროკავშირის ქვეყნებში, ანტიამერიკული და ანტინატო სენტიმენტების გაღვივებისათვის. როგორც ატლანტიკური საბჭოს DFR ლაბორატორიამ გამოარკვია რუსი პოლიტიკური ექსპერტები, გერმანელი მემარცხენე პოლიტიკოსები და ლატვიელი ანონიმური ონლაინ პერსონა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ავრცელებდნენ ინფორმაციას ნატოს სწავლება Defender 2020-ის გარშემო (DFRlab 2020). გამავრცელებლები ამტკიცებდნენ, რომ ნატო ბალტიის ქვეყნებში კორონა ვირუსს შემოიტანს, რაც იქ უკონტროლო სიტუაციის შექმნის.

ეს არ არის კორონავირუსის პანდემიის გამოყენებით, ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს შორის შუღლის გაღვივების ერთადერთი მცდელობა. ასევე, აღნიშნულის არაჩვეულებრივი მაგალითია, 2020 წლის ზაფხულში, ამერიკული კიბერუსაფრთხოების ფირმის Mandiant-ის მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული კამპანიები, რომლებიც „რუსულ ინტერესებთან დაახლოებული ჯგუფების“ (Mandiant 2020) მიერ ნატოს წევრ ქვეყნებში განხორციელდა. კამპანია, რომელსაც „Ghostwriter“ უწოდეს მოქმედებდა სამიზნე აუდიტორიებზე ლიეტუვაში, ლატვიასა და პოლონეთში. თუმცა საინტერესოა, რომ აღნიშნული კამპანიები არა კორონავირუსის გარშემო დეზინფორმაციის შექმნას ისახავდა მიზნად, არამედ კორონავირუსის თემის მეშვეობით მოსახლეობაში ანტიაშშ და ანტინატო განწყობების გაღვივებას. ამ კამპანიაში გამოყენებულ იქნა ტრადიციული გაყალბებული დოკუმენტები, რომლებიც შეფუთული იყო ისე, თითქოს ნამდვილი სამხედრო მაღალჩინოსნებისა და პოლიტიკური პირების მიერ იყო მომზადებული. ყალბი მასალა კი ციტირებული ან გამოყენებული იყო სტატიების დამზადებისათვის, რომლებიც თოთხმეტმა არაავთენტურმა პერსონამ შექმნა. ეს ინდივიდები იბრალებდნენ, რომ ადგილობრივი ჟურნალისტები და ანალიტიკოსები იყვნენ, რომლებიც შესაბამის ქვეყნებში ცხოვრობდნენ (Mandiant 2020).

მაგალითად, 22-24 აპრილის განმავლობაში ნატოს მაღალჩინოსნის, ვიცე პოლკოვნიკის ერიკ ანგელის ფალსიფიცირებული ციტატებით ხდებოდა ინფორმაციის გავრცელება - თითქოს კანადურმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც ლატვიაში როტაციაზე იმყოფებოდნენ, ქვეყანაში კორონავირუსი შეიტანეს (Mediant 2020, 8). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნარატივი ითვალისწინებდა თითქოს ნატოს გამო შევიდა ლატვიაში კორონავირუსი, ლიეტუვაში ამავდროულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნატოს ჯარები კორონავირუსის პანდემიის გამო ქვეყანას ტოვებენ და ის დაუცველი რჩება (Mediant 2020). აღნიშნულის პირველწყაროდ ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის გაყალბებული წერილი იყო. ამასთან ერთად, ლიეტუვაში იანვრის ბოლოს რამდენიმე საინფორამციო პორტალმა გაავრცელა ინფორამცია, რომ კორონავირუსის პირველი შემთხვევა აშშ-ის ოფიცერი იყო. სტატიები კი ეყრდნობოდნენ აშშ-ის ჯარის ოფიცრის გაყალბებულ ციტატას. აღნიშნული ინფორმაციების პირველწყაროებს სოციალურ და არააფილირებულ მედიაში საგრძნობლად დიდი გამოხმაურება ჰქონდა (Mediant 2020).

ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. იმის ფონზე, რომ წლების განმავლობაში აქტიურად ხდება რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის დისკრედიტაცია რუსი ოფიციალური პირებისა და პროპაგანდისტების მიერ, გასაკვირი სულაც არ იყო ლუგარის ლაბორატორიის მიზანში ამოღება. ის, რომ რუსული საინფორმაციო ომის მანქანა ერთიანი მექანიზმითა და ნარატივებით მუშაობს, კიდევ ერთხელ დასტურდება იმ ინფორმაციით, რომ ოკუპირებული საზღვრიდან გატაცებულ ხვიჩა მაღლაკელიძეს, საოკუპაციო ძალებმა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ღამურების შეგროვებისათვის გადასვლა დააბრალეს (1TV 2020). ბუნებრივია, აქ პარალელის გავლება მოხდა იმ აქტიურ კამპანიაზე, რომ ლუგარის ლაბორატორია, აშშ-ის დავალებით, საიდუმლო ბიოლოგიურ იარაღებზე მუშაობს. ასევე, ინტეგრირებულ იქნა ის ინფორმაცია, რომ შესაძლოა კოვიდ-19 ღამურებისგან წარმოიქმნა. ეს ინფორმაცია არა მარტო ქართულ საზოგადოებაზე, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე იყო გათვლილი, რათა კიდევ უფრო დიდი უნდობლობა და კონფლიქტი შექმნილიყო ჯგუფებს შორის. ამასთან, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ სექტემბერში განხორციელებული კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე (რადიო თავისუფლება 2020). კიბერშეტევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მომდევნო დღეებში უცხოურ საიტზე აიტვირთა, სადაც ასევე დაფიქსირდა გაყალბებული დოკუმენტაცია. აღნიშნული კამპანიის წარუმატებლობა ორმა ფაქტორმა განსაზღვრა. პირველი, ეს იყო თავდაპირველი ეჭვი, რომ კიბერშეტევა, ზუსტად ლუგარის ლაბორატორიის დისკრედიტაციისათვის მოხდა, ვინაიდან ბოლო პერიოდში რუსული საინფორმაციო კამპანია თითქმის აგრესიულად ავრცელებდა დეზინფორმაციას ლაბორატორიის წინააღმდეგ. მეორე, ეს იყო ლუგარის ლაბორატორიის საკვანძო როლი საქართველოში კორონა ვირუსთან ბრძოლის საქმეში.

დასკვნა

ცივი ომის პერიოდის საინფორმაციო ომის და თანამედროვე პრაქტიკის შედარებით, უმთავრესი ცვლილება ეს არის კამპანიების სიხშირე და მათი რაოდენობა. სიმბოლურია, რომ დეზინფორმაციის წარმოების პროცესს, ბიტმანი (2016) „დეზინფორმაციულ წისქვილებს“ უწოდებს მაშინ, როდესაც დღესდღეობით ჩვენ ასეთ აქტივობებს „ქარხნებად“ მოვიხსენიებთ. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ, როგორიც ინტერნეტი და სოციალური მედიაა, ისეთივე გავლენა იქონია საინფორმაციო ომზე, როგორც ინდუსტრიულმა რევოლუციამ წარმოებაზე. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს უფრო მეტ დეზინფორმაციას და მეტ კამპანიას. თუმცა, ასევე ნიშნავს ნაკლებ ორიგინალურობას, ხარისხს, კოორდინაციასა და ზოგ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავ გზავნილებს. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებმა საინფორმაციო ომის ავტომატიზაციის შესაძლებლობა შექმნა. შესაბამისად, ინფორმაციის გამავრცელებლებად არამარტო ადამიანები და ყალბი გვერდები გვესახება, არამედ ავტომატიზებული პროგრამები, რომლებსაც ინფორმაციის გამოქვეყნებისა და გაზიარების ფუნქცია აქვთ. ამავდროულად, აგრესიული კამპანიები თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში ადვილად აღმოჩენადი გახდა, რაც აისახება ისეთ წარუმატებლობაში, როგორიც კოვიდ-19-ის მაგალითში, ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერშეტევის გავრცელების შემდგომ მივიღეთ.

მაშინ, როდესაც ანონიმურობისა და სანდოობის საბაბით, საბჭოთა კავშირი მესამე მსოფლიოში ქმნიდა კონტინგენტს და ცდილობდა ბეჭდური მედია გავლენის ქვეშ მოექცია, დღეს ინტერნეტის მეშვეობით რუსეთი ქვეყნის ტერიტორიიდან, ონლაინ გაზეთებს, ბლოგებს, ინტერნეტ ტელევიზიებს და მოძრაობებს აკონტროლებს. უკვე ფართოდ ცნობილი ტროლების ქარხნები, რომლებიც აქტიურად იყვნენ აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართული, ზუსტად ამ მეთოდებით ცდილობდნენ ზეგავლენის მოხდენას. მაგალითად, 2016 წელს, რუსულმა ტროლების ქარხანამ „ინტერნეტის კვლევის სააგენტო“ (Internet Research Agency) გვერდის “BlackMattersUS” მეშვეობით, ხუთიდან ათი ათას კაცამდე საპროტესტო აქცია შეკრიბა, რომლებმაც ნიუ იორკში, ტრამპის სასტუმროსთან, მისი გაპრეზიდენტება გააპროტესტეს (Breland 2017).

მეორე ცვლილება, რაც ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ, ეს არის მოქმედების არეალი და სამიზნე აუდიტორიები. საბჭოთა კავშირის დროს, სამიზნე აუდიტორიები უფრო ზოგად და ფართო ჯგუფებს მოიცავდა. დღესდღეობით, სოციალური მედიის საშუალებით, შესაძლებელია სამიზნე აუდიტორიების უკიდურესად სკურპულოზურად და დეტალურად გამიჯვნა. Facebook-ს აქვს საშუალება საკუთარი რამდენიმე მილიარდი მომხმარებელი ადგილმდებარეობის, დემოგრაფიის, ინტერესების, ქცევისა და კავშირების მიხედვით გამიჯნოს. შესაბამისად, ეს საშუალებას იძლევა კონკრეტული ქვეყნის, კონკრეტული ქალაქის, კონკრეტულ ქუჩაზე ინფორმაცია მივაწოდოთ ადამიანს, რომელსაც კონსპირაციული თეორიებისადმი ინტერესი აქვს. ამას რომ დავამატოთ დეზინფორმაციის ქარხნული წესით წარმოება, ჩვენ მივიღებთ უკიდურესად ეფექტურ და საშიშ ზეგავლენის ოპერაციებს.

თუმცა, აღნიშნულ ნეგატივს ასევე გააჩნია საკუთარი პოზიტივიც. არცერთი ფართოდ გავრცელებული და პოპულარული სოციალური მედია არ ეკუთვნის რუსეთს ან საინფორმაციო ომის მწარმოებელ სხვა ავტორიტარულ ქვეყანას. შესაბამისად, მათი კონტროლი აღნიშნულ არხებზე არ არის სრულყოფილი და ეფექტური. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის შემდეგ Facebook-მა და Twitter-მა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით, რამაც ნაწილობრივ, შეზღუდა ზეგავლენის მოხდენის საშუალებები.

მესამე მნიშვნელოვანი ცვლილება, ეს არის საინფორმაციო ომის ტაქტიკები. მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გაყალბებულ დოკუმენტებს, დღეს უფრო მეტი ყურადღება კონსპირაციულ თეორიებს, ჭორებსა და ყალბ ამბებს ეთმობა. ის ამბები, რომლებსაც ყველაზე სენსაციური სათაური აქვს, მეტად იკითხება და ხშირად ზიარდება . სათაურს დღევანდელ საინფორმაციო გარემოში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხშირ შემთხვევაში, მომხმარებელი მხოლოდ სათაურის კითხულობს. შესაბამისად, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით, უფრო მარტივია კონსპირაციული თეორიების, ჭორებისა და ყალბი ამბების გავრცელება, ვიდრე გაყალბებული ოფიციალური დოკუმენტების, მსხვერპლის რეაქციამდე ეფექტურად გამოყენება.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბეზმენოვის ძიუდოს ანალოგია, დღესაც აქტუალურია. თუ გავაანალიზებთ ზემოთ მოცემულ საპროტესტო აქციას ტრამპის სასტუმროსთან, მივხვდებით, რომ ეს ჯგუფებში უკვე არსებული გრძნობების გამოყენების, გაძლიერების და შემდგომ ქცევის შეცვლის შთაგონების პირდაპირი მაგალითია. აღნიშნული ქმედება შემდგომ ამავე ჯგუფის დისკრედიტაციისთვისაც იყო გამოყენებული. ტროლების ქარხნები, არამარტო ანტიტრამპის კამპანიებს ახალისებდნენ, არამედ აქტიურად იყენებდნენ აღნიშნულ კამპანიებს ტრამპის მხარდამჭერებში, სხვადასხვა ჯგუფის დისკრედიტაციისთვის (Mueller 2019, DiResta et.al 2018, Howard, Ganesh & Liotsiou 2018).

ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების განვითარებამ მოუტანა საინფორმაციო ომს, ეს არის საინფორმაციო ომის დემოკრატიზაცია. როგორც საბჭოთა კავშირის მაგალითზე ვნახეთ, საინფორმაციო ომის წარმოებას გარკვეული ადამიანური და ფინანსური რესურსები ესაჭიროება. თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიები, ინტერნეტსა და სოციალურ მედიასთან ერთად, საშუალებას იძლევა ადამიანების მცირე ჯგუფმა, მინიმალური რესურსებით, საგრძნობლად გავლენიანი კამპანიები აწარმოონ. აღნიშნული ასევე საშუალებას იძლევა, რომ საინფორმაციო ომის მწარმოებლები არამარტო ქვეყნები, არამედ სხვადასხვა ჯგუფები და ინდივიდები იყვნენ. კირ გაილსი (2016) ანალოგიური საინფორმაციო ომის ხერხებს, დაეშის რეკრუტირების კამპანიებში ხედავს, რომელშიც ისინი პროპაგანდასა და დეზინფორმაციას აქტიურად იყენებენ. ამასთან, The Kremlin and Daesh Information Activities (ed. Simmons & Sillanpaa 2016) კიდევ უფრო უღრმავდება მეთოდოლოგიურ მსგავსებებს კრემლსა და დაეშს შორის. რაც იმის მაგალითია, რომ საინფორმაციო ომი არამარტო რუსეთის და ზოგადად სახელმწიფოების მიერ არის წარმოებადი, არამედ ის თანამედროვე გამოწვევაა, რომლის გამოყენების საშუალება ნებისმიერ ორგანიზებულ ჯგუფს აქვს.

ბოლოს, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საინფორმაციო ომი არ არის ერთჯერადი მოვლენა. საინფორმაციო ომი უკვე ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაა. შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს მოწინააღმდეგე რა ტაქტიკებს, მიდგომებს და საინფორმაციო არხებს გამოიყენებს იმისათვის, რომ ჩვენზე და ჩვენს გარშემომყოფებზე გავლენა იქონიოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიფიქროთ არა შეზღუდვებსა და სასჯელებზე, არამედ გზებზე, თუ როგორ გავაგრძელოთ უსაფრთხოდ ცხოვრება ამ გამოწვევასთან ერთად. ამის გასაღები კი ნამდვილად არ იმალება აკრძალვებში და რეგულაციებში. ავტორიტარული რეჟიმები მუდმივად ცდილობენ ინფორმაციის ცენზურას, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის გავრცელება გარდაუვალია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული გათვალისწინებული იყოს განათლებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ.თანამედროვე საინფორმაციო გარემოში ცხოვრება, სანდო ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება აუცილებლად უნდა გახდეს თითოეული მოქალაქის ცოდნის არსენალის ნაწილი.

ბიბლიოგრაფია

Abrams, S. (2016). Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. Connections: The Quarterly Journal. 15 (1). pp. 5-31.

Al Jazeera (2020) Legislator from Iran's Qom alleges Coronavirus Coverup, ხელმისაწვდომია: https://www.aljazeera.com/news/2020/02/25/legislator-from-irans-qom-alleges-coronavirus-coverup/ (მოძიებული: 15 ოქტომბერი 2020)

Allied Joint Publication 3.10 Information Operations ხელმისაწვდომია: https://info.publicintelligence.net/NATO-IO.pdf

Armistead L. ed. (2004). Information Operations: Warfare and the Hard Reality of Soft Power. Washington, DC: Potomac Books, Inc.

Arquilla J. Borer D. A. ed. (2007) Information Strategy and Warfare A guide to theory and practice. New York NY: Routlege

Arquilla J. Ronfeldt D. (1993) Cyberwar is Coming! Comparative Strategy. 12 (2). pp. 141-165. Retrieved from https://www.rand.org/pubs/reprints/RP223.html

Arquilla J. Ronfeldt D. (1999) The Advent of Netwar: Analytic Background, Studies in Conflict and Terrorism, 22 (3). pp. 193-206. DOI: 10.1080/105761099265720

BBC news (2016) 'Post-Truth' declared word of the year by Oxford Dictionaries. ხელმისაწვდომია: https://www.bbc.co.uk/news/uk-37995600) (მოძიებული: 20 ოქტომბერი 2020)

Bezmenov Y. (1983) Lecture on Subversion, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=zgmg2VFX058&ab_channel=WiseWanderer (მოძიებულია: 15 ნოემბერი 2020)

Bezmenov Y. (1984) Russian Subversion Tactics (ინტერვიუ), ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=1FEIlhOh_KI&ab_channel=Frog%27sArchive (მოძიებული: 16 ნოემბერი 2020)

Bittman L. (1973) The Deception Game: Czechoslovak Intelligence in Soviet Political Warfare. Syracuse NY: Syracuse University Research Corporation.

Bittman L. (1985) The KGB and Soviet Disinformation: An Insider's View. Washington DC: Pergamon-Brassey's International Defense Publisher.

Boghardt T. (2009) Soviet Bloc Intelligence and Its AIDS Disinformation Campaign. Studies in Intelligence. 53 (4) pp. 1-22

Breland A. (2017) 'Thousands attended protests organized by Russians on Facebook'. The Hill ხელმისაწვდომია:https://bit.ly/30qrsNf (მოძიებული: 24 ნოემბერი 2020).

Burke D. A. (1993) Towards a Game Theory Model of Information Warfare. (Master Thesis) ხელმისაწვდომია: https://apps.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a374162.pdf

Darczewska J. (2014). The Anatomy of Russian Information Warfare: The Crimean Operation, A case Study. OSW Point Of View Number 42. Retrieved From http://aei.pitt.edu/id/eprint/57173

DFRlab (2020) Coronavirus used to stoke fear of NATO exercise in Europe, ატლანტიკური საბჭო, ხელმისაწვდომია:https://bit.ly/3kJwPjE (მოძიებული: 27 სექტემბერი 2020)

DiResta R., Shaffer K., Ruppel B., Sullivan D., Mathney R., Fox R., Albright J., Johnson B. (2018) The Tactics & Tropes of the Internet Research Agency. New Knowledge. Available at: https://www.newknowledge.com/articles/the-disinformation-report/

France 24 (2020) What is the real size of the Coronavirus Epidemic in Iran ხელმისაწვდომია: https://www.france24.com/en/20200301-what-is-the-real-size-of-the-coronavirus-epidemic-in-iran (მოძიებული: 15 ოქტომბერი 2020)

Galeotti M. (2018) I'm Sorry for Creating the 'Gerasimov Doctrine'. Foreign Policy. ხელმისაწვდომია: https://foreignpolicy.com/2018/03/05/im-sorry-for-creating-the-gerasimov-doctrine/ (მოძიებული: 23 ნოემბერი 2020)

Gerasimov V. (2013) The Value of Science in Prediction. Military-Industrial Kurier. [რუსულად] ხელმისაწვდომია: https://www.vpk-news.ru/articles/14632 მთარგმნელი: Galeotti M. (2013) ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kLwEEL (მოძიებული: 15 ნოემბერი 2020)

Geissler E (2016) The AIDS Myth at 30. *International Journal of virology 3* (1)

Giles K. (2016). The Next Phase of Russian Information Warfare. *NATO Strategic Communications Centre of Excellence. Available at:* https://www.stratcomcoe.org/next-phase-russian-information-warfare-keir-giles

Globalresearch (2020) COVID-19 Coronavirus: A Fake Pandemic? Who's Behind It? Global Economic, Social and Geopolitical Destabilization ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v2Ye59 (მოძიებული: 14 ოქტომბერი 2020)

Haiden L. (2018) Whatever Happened to Trust? In Althuis J. Haiden L. (Ed.) Fake News A Roadmap. NATO Strategic Communications Centre of Excellence and King's Centre for Strategic Communications.

Hamilton N. S., Miller L. W. Ott A., Saydjari S. O. (2002) The Role of Game Theory in Information Warfare.

Henry R. Peartree E. C. (1998) Military Theory and Information Warfare. Parameters. 28 (3) pp. 121-135. ხელმისაწვდომია: https://search.proquest.com/docview/198029256?accountid=14511

Howard N.P., Ganesh B. Liotsiou D. (2018) The IRA, Social Media and Political Polarization in the United States, 2012-2018. Computational propaganda Research Project. Available at: https://comprop.oii.ox.ac.uk/research/ira-political-polarization/

Human Rights Watch (2020) Russia Growing Internet Isolation, Control, Censorship, ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/news/2020/06/18/russia-growing-internet-isolation-control-censorship (მოძიებული:15 ნოემბერი 2020)

Human Rights Watch (2011) China World Leader of Internet Censorship, ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/news/2011/06/03/china-world-leader-internet-censorship (მოძიებულია:15 ნოემბერი 2020)

იმედი ნიუსი 2018 (1) რუსეთი ლუგარის ლაბორატორიაში საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრებაზე უარს ამბობს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sNaZP8 (მოძიებული: 20 ნოემბერი 2020)

იმედი ნიუსი 2018 (2) ზახაროვამ ლუგარის ლაბორატორიის თემაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/msoflio/86564/zakharovam-lugaris-laboratoriis-temaze-kidev-ertkhel-isaubra (მოძიებული: 20 ნოემბერი 2020)

იმედი ნიუს 2018 (3) პუტინი ლუგარის ლაბორატორიის თემას გამოეხმაურა, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/politika/81823/putini-lugaris-laboratoriis-temas-gamoekhmaura (მოძიებული: 20 ნოემბერი 2020)

Joint Publication 3-13, Information Operations, 20 November 2014 ხელმისაწვდომია: https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/jp3_13.pdf

Joint Warfare Publication 3-80, Information Operations, ხელმისაწვდომია: http://www.stratcomhellas.weebly.com/uploads/5/1/6/5/51658901/jwp3_80_uk_info_ops_doctrine.pdf

Kelly M. L. & Bowman E. (2016) CIA Concludes Russian Interference Aimed To Elect Trump, NPR, ხელმისაწვდომია:https://n.pr/3sMIW2k (მოძიებული: 20 ნოემბერი 2020)

Kinzer S. (2019) The Secret History of Fort Detrick, the CIA's Base for Mind Control Experiments, Politico, ხელმისაწვდომია: https://politi.co/387SEEI (მოძიებული: 10 ნოემბერი 2020)

Kux, D. (1985). Soviet Active Measures and Disinformation: Overview and Assessment. Parameters, 15 (4). pp. 19 ხელმისაწვდომია: https://search.proquest.com/docview/1306220070?accountid=14511

Libicki M. C. (1995) What Is Information Warfare? Center For Advanced Concepts and Technology Institute for National Strategic Studies. National Defense University.

Mandiant (2020) *'Ghostwriter' Influence Campaign: Unknown Actors Leverage Website Compromises and Fabricated Content to Push Narratives Aligned with Russian Security Interests.*

McIntyre L. (2018) Post-Truth. Cambridge MA: the MIT Press

McKew M. K. (2017) The Gerasimov Doctrine: It's Russia's new chaos theory of political warfare. And it's probably being used on you, Politico, ხელმისაწვდომია: https://www.politico.com/magazine/story/2017/09/05/gerasimov-doctrine-russia-foreign-policy-215538

მსოფლიო მშვიდობის კონგრესი. ხელმისაწვდომია: http://www.wpc-in.org/ (მოძიებულია: 20 ნოემბერი 2020)

Mueller R. S. III. (2019) Report on the Investigation Into Russian Interference In The 2016 Presidential Election, United States Department of Justice, Volume: I of II. Retrieved from https://assets.documentcloud.org/documents/5955118/The-Mueller-Report.pdf

Munchau W. (2017). From Brexit to fake trade deals: the curse of confirmation bias. ხელმისაწვდომია: https://www.ft.com/content/b7d68798-62fb-11e7-91a7-502f7ee26895 (მოძიებული: 24 ნოემბერი 2020)

Nye J. S. Jr. (1990) Soft Power. Foreign Policy. 80 pp.153-171.

Reuters (2020) At least 210 People have Died from Coronavirus in Iran. ხელმისაწვდომია: https://reut.rs/2O5xAYm (მოძიებული: 15 ოქტომბერი 2020)

რადიო თავისუფლება (2020) კიბერთავდასხმა ლუგარის ლაბორატორიაზე - რა არ უნდა გამოგრჩეს 4 სექტემბერს, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30819540.html (მოძიებული: 17 ნოემბერი 2020)

საზოგადოებრივი მაუწყებელი (2020) ოკუპირებულ ცხინვალში აცხადებენ რომ საქართველოს დაკავებული მოქალაქე მათ ტერიტორიაზე ღამურების შესაგროვებლად გადავიდა, ხელმისაწვდომია:https://bit.ly/3uTFiW5 (მოძიებული 17 ნოემბერი 2020)

Scanzillo M. T., Lopacienski M. E. (2015) Influence Operations and the Human Domain. CIWAG Case Studies. 13.

Shapiro et. Al. (2020) How Russia, China, and other governments use coronavirus disinformation to reshape geopolitics, The Bulletin, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kLhgYJ (მოძიებული: 1 ნოემბერი 2020)

Simons G., Sillanpaa A. ed. (2016) Kremin and Daesh Information Activities. Strategic Communications Centre of Excellence. ხელმისაწვდომია: https://www.stratcomcoe.org/kremlin-and-daesh-information-activities

Szafranski R. (1995) A Theory of Information Warfare: Preparing for 2020," *Airpower Journal, Spring 1995,* pp. 56–65. ხელმისაწვდომია: https://www.hsdl.org/?view&did=439843

Stein J. G. (1996) Information Attack: Information Warfare in 2025. Air Force 2025.

Southfront (2020) COVID-19 – THE FIGHT FOR A CURE: ONE GIGANTIC WESTERN PHARMA RIP-OFF ხელმისაწვდომია: https://southfront.org/covid-19-the-fight-for-a-cure-one-gigantic-western-pharma-rip-off (მოძიებული: 14 ოქტომბერი 2020)

Thornton R. (2015) The Changing Nature of Modern Warfare. The RUSI Journal, 160 (4). pp. 40-48 DOI: 10.1080/03071847.2015.1079047

United State Information Agency (USIA) (1992). Soviet Active Measures in the "Post-Cold War" Era 1988-1991. United States House of Representatives Committee on Appropriation.

(USPSCI 1982) Hearing Before the Permanent Select Committee on Intelligence, House of Representatives (1982) *Soviet Active Measures*

(USPSCI 1980) Hearing Before the Permanent Select Committee on Intelligence, House of Representatives (1980) *Soviet Covert Actions (The Forgery Offensive)*

U.S. State Department Special Briefing (2020) ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kMxKjC (მოძიებული: 1 ნოემბერი 2020)

Ventre D. ed. (2011) Cyberwar and Information Warfare. London: ISTE Ltd and John Wiley & Sons, Inc.

Ventre D. (2016) Information Warfare. 2nd edition. London: ISTE Ltd and John Wiley & Sons, Inc.

Waltz E. 1998. Information Warfare Principles and Operations. Norwood, MA: Artech House.

Zgryziewicz R. ed. (2015) Daesh Information Campaign and Its Influence. Strategic Communication Centre of Excellence. ხელმისაწვდომია: https://www.stratcomcoe.org/daesh-information-campaign-and-its-influence-1

Zhao L. (2020) ხელმისაწვდომია: https://twitter.com/zlj517/status/1238269193427906560